



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

29

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Ilija State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვალდაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდაღბუაობისათვის“	109
ოქრო ჯოჯო	
ძველი გაფაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმრთო წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილიაშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze

271

Eter Kavtaradze (1937-2023)

279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

პიპმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსპ	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიპმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სპიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიპმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

ნუგზარ პაპუაშვილი

ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვლადაკვალ

„ახალციხის მთავარი მეჩეთი“ ყველაზე ცნობილი და შთამბეჭდავი ძეგლია ისლამური კულტურის იმ ძეგლთა შორის, რომლებიც საქართველოში გვხვდება.¹ მისი აშენება და გამშვენება დაკავშირებულია ჯაყელი ათაბაგების წარმომადგენლის – ჰაჯი ახმედ ფაშას (გარდ. 1758) – სახელთან, რის გამოც მას ახმედის მეჩეთი ეწოდება. ეს ერთადერთი მეჩეთია საქართველოში, რომლის კულტურულ-საგანმანათლებლო წარსულზე და საბიბლიოთეკო საქმიანობაზე დოკუმენტური მასალა მოგვეპოვება.

ახმედ ფაშა-ათაბაგის² მეჩეთის შესახებ რამდენიმე წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ცნობა, მემუარი და გამოკვლევა არსებობს. მათი დიდი ნაწილი შეკრიბა და მიმოიხილა შოთა ლომსაძემ (1925-2003) ნაშრომში,³ რომელიც ახალციხის მხარის ისტორიასა და, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს ამ ნაწილის სამშობლოში დაბრუნების დრამატულ ამბებს ეძღვნება. მასში მკითხველს კულტურის ამ კერის თავგადასავლისა და მნიშვნელობის ფართო მასშტაბით გაცნობის შესაძლებლობა ეძლევა, რადგან აქ ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შთამბეჭდავი სპექტრია მოცემული.

აღნიშნულ ნაშრომში ნათქვამია, რომ „მეჩეთი აუშენებია ახალციხის ჰაჯი ახმედ-ფაშას (...). მისი ხუროთმოძღვრები იყვნენ იტალიელები, რომლებიც ჰაჯი-ახმედ ფაშას სპეციალურად მოუწვევია. ამიტომ ძეგლი

¹ საცნობარო-სამეცნიერო ლიტერატურა: დემურიშვილი, *ისლამური ხუროთმოძღვრები*, გვ. 75-77; *მეჩეთები სამცხე-ჯაფახეთში*, გვ. 7-8, 22-23, 76. ქუთათელაძე, *საქართველოს მეჩეთები*, გვ. 37-47. ამ ლიტერატურის მიმოხილვა და შეფასება წინამდებარე გამოკვლევის მიზანს შორდება.

² ასე მოიხსენიებს ახალციხის იმდროინდელ ფაშებს მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი (1703-1764), რომელიც მოიხიბლა ახმედ ფაშას წინამორბედის, მაჰმად ფაშას, თავაზიანობით, სტუმართმოყვარეობითა და გულისხმიერებით. შდრ.: მეტრეველი (გამოც.), *ციმთე გაბაშვილი, მიმოსვლა*, გვ. 7, 55.

³ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 34-42.

ფაქტიურად ევროპული ხუროთმოძღვრების ნიმუშს წარმოადგენს ჩვენში. მეჩეთის საფუძვლის ჩაყრა დაწყებულია ჰიჯრის 1161 წ. (1753). მისი მშენებლობა გაგრძელებულია 7 წელს. ე. ი. დამთავრებულია 1760 წელს.⁴ (...) მეჩეთის სამშენებლო და მოსაპირკეთებელ მასალად გამოუყენებიათ მანამდე აქ მდგარი ქრისტიანული ეკლესიებისა და სხვა ნაგებობათა თლილი ქვა. (...) ვარაუდს, რომ დანგრეული ძველი ქართული ეკლესიების მასალით აშენდა ახმედის მეჩეთი, ამაგრებს გადმოცემა, რომელიც 1872 წ. ახალციხის მართლმადიდებელმა ქართველებმა უამბეს წმინდა მარინეს ეკლესიის აშენების თაობაზე ლ. ზაგურსკის.⁴⁵

ლომსაძის ნაშრომში დახასიათებულია ნაგებობის არქიტექტურა და მორთულობა; სპეციფიკა, რაც ამ მეჩეთს სხვათაგან გამოარჩევდა; საუბარია მედრესზე, რომელიც მეჩეთს „დასავლეთიდან ემხრობოდა“; აღნიშნულია, თუ რა ჰარმონიულად ეხამებოდა ეს ნაგებობა გარემოსა და ციხე-გალავნის მთელ კომპლექსს. ასევე ნათქვამია, რომ სწავლულთა განმარტებით „ახმედის მეჩეთი, თავისი გრანდიოზულობითა და სილამაზით, მთელი თურქეთის იმპერიაში მესამე ადგილზე დგას, (...) კავკასიაში კი პირველ ადგილზე.“

წიგნთსაცავის შესახებ აღნიშნულია შემდეგი:

1828 წლის 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, როდესაც რუსეთის ჯარმა და ქართულმა მილიციამ „დაიკავეს ახალციხის მისადგომები, ცნობილი გახდა, რომ აქ ახმედის მეჩეთთან არსებობდა მდიდარი წიგნთსაცავი. მთავარსარდალმა პასკევიჩმა გამოუძახა გენერალ ნიკოლოზ მურავიოვს და დაავალა თვალყური ედევნებინა ბიბლიოთეკისათვის. როცა ქალაქი მთლიანად განთავისუფლდა (16 აგვისტოს შუადღე, ნ. პ.), მთავარსარდალობის თარჯიმანთან, აბას ყული აღასთან და ახალციხის საპატიო წარმომადგენელთან, 70 წლის ქალაქის ეფენდთან ერთად, მურავიოვი წიგნსაცავს ეწვია და დაიწყო მისი აღწერა სხვადასხვა განრიგით. წიგნსაცავში მუშაობის დროს მათ ნახეს ყუმბარის ნამსხვრევი, რომელსაც გაენგრია ბიბლიოთეკის სქელი კედელი და ჩამოვარდნილიყო. როცა მურავიოვმა ეს ყუმბარა ახალციხის ეფენდის გადასცა, მან იგი რამდენიმეჯერ შეატრიალა ხელში და მდივანს მიმართა: Запишите его к разряду воспоминаний о превратностях мира сего. (...) ახალციხის ბიბლიოთეკაში, სხვა დოკუმენტებს გარდა, აღწერილ იქნა 600

⁴ საცნობარო-სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ახმედის მეჩეთი აგებულია 1752 წელს (საქართველოს ისლამური, გვ. 22). ასე რომ, ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს.

⁵ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 35-36.

წიგნი, ძირითადად ხელნაწერი. აღწერის შემდეგ შერჩეულ იქნა 300-ზე მეტი ხელნაწერი წიგნი პეტერბურგში გასაგზავნად. (...) ახალციხის წიგნსაცავის დარჩენილი ნაწილი შემდეგ უკვალოდ და უპატრონოდ გაქრა.⁶

ამჟამად ჩვენი მიზანია შოთა ლომსაძის ნაშრომში მოცემული სპექტრის გაფართოება, ერთი არსებითი სიახლის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და ზოგიერთი დეტალის დაზუსტება.

პირველი ცნობა ახალციხის მთავარი მეჩეთის შესახებ, ამავე სპექტრის თანახმადაც, ეკუთვნის გერმანელ ექიმს, მეცნიერსა და მოგზაურს იოჰან გიულდენშტედტს (Johan Anton Guldensädt; 1745-1781). მან საქართველოში 1771 წლის 9 სექტემბრიდან 1772 წლის 12 ნოემბრამდე იმოგზაურა და დაგვიტოვა ამ მოგზაურობის ვრცელი აღწერილობა.⁷ 1772 წლის ზაფხულში გიულდენშტედტი იმერეთის სამეფოს ეწვია და ცნობები სამცხე-საათაბაგოს, ანუ ახალციხის საფაშოს, შესახებაც შეკრიბა. ის ახალციხეს „ცნობილ ქართულ ქალაქს“ უწოდებს და აღნიშნავს: „მარწმუნებენ, რომ ის თბილისზე ოდნავ პატარაა და იქ ახლა მშვენიერი მაჰმადიანური მეჩეთი და, აგრეთვე, კათოლიკური ეკლესია არის; რომ ჯერ კიდევ არსებობს ბერძნულ-ქართული ეკლესიები, რომ იქ უფრო მეტად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ვიდრე თათრულად და რომ მის მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ ბევრი მართლმადიდებელია“.⁸

მართალია, გიულდენშტედტს ახალციხეში არ უმოგზაურია, მაგრამ მისი პოლიტიკური და რელიგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მოპოვება მაინც მოუხერხებია. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ორ ფაქტს: 1. აღნიშნული (1772) წლის 10 სექტემბერს (ამ დღესაა დაწერილი ციტირებული სიტყვები) ახალციხის მთავარი მეჩეთი უკვე მართლაც აშენებული და გამშვენებულია (მას, სულ მცირე, ცამეტი წლის ისტორია აქვს) და 2. ეს ნაგებობა ადგილობრივ მოსახლეობას, – გერმანელი მეცნიერის მთხრობელებს, რომლებიც მას აღნიშნულ დღეს იმერეთ-ახალციხის საზღვართან, ძირულაში, უნახავს, – დიდად მოსწონთ. ამის დასტურია ფორმულა „schöne muhamedanische Metsched“ ანუ „მშვენიერი მაჰმადიანური მეჩეთი“, რომელიც ავტორმა, ცხადია, მთხრობელთა ნაამბობის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა. ინფორმატორები კი, მონათხრობის შინაარსიდან გამომდინარე (ქრისტიანულ ეკლესიებსა და ქართული ენის უპირატესობაზე აქცენტის ასე მკაფიოდ დასმა),

⁶ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 38-39.

⁷ გელაშვილი (გამოც.), *გიულდენშტედტის მოგზაურობა*, გვ. 012.

⁸ იქვე, გვ. 72-75.

დიდი ალბათობით, ქართველი ქრისტიანები (მართლმადიდებლები ან კათოლიკეები) უნდა ყოფილიყვნენ. თვალსაჩინოა მეჩეთის პოზიტიური ტონით მოხსენიება. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი ქართველი ათაბაგი-ფაშების რჯულშემწყნარებლობას და თანამემამულე ქრისტიანი სასულიერო პირების მიმართ გამოვლენილ კეთილგანწყობას, რომლის მოწმეც მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი გახდა 1755 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში.⁹ ჩანს, სარწმუნოების სფეროში დიაობა XVIII საუკუნის ახალციხის საფაშოს ზოგად ხასიათს წარმოადგენდა. გავისხენოთ შოთა ლომსაძის მიერ დამოწმებული ზეპირი გადმოცემა, რომელიც ახალციხის მართლმადიდებელთა თემში ყოფილა შენახული და თბილისის გიმნაზიის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელს, ლეონარდ ზაგურსკის, 1872 წლის ივლისსა თუ აგვისტოში ჩაუწერია. ამ გადმოცემის თანახმად, ახალციხის წმ. მარინას სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის აშენება სწორედ ჰაჯი ახმედ ფაშას უკავშირდება.¹⁰ გიულდენშტედტის ინფორმაცია, ახალციხეში „უფრო მეტად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ“-ო, გვარწმუნებს, რომ ამ ქალაქის მთავარი მეჩეთის ჯამაათი მეტწილად ქართულენოვანი მუსლიმებისაგან შედგებოდა.

მეორე ცნობა ახალციხის დიდი მეჩეთის შესახებ შემოგვინახა ფრანგმა სწავლულმა, მოგზაურმა და დიპლომატმა ჟაკ ფრანსუა გამბამ (Jean Fran-
cuais Gamba; 1763-1833). მან საქართველოში 1819 წლიდან 1824 წლამდე იცხოვრა როგორც საფრანგეთის კონსულმა¹¹ და, ეჭვი არაა, იმ აქტუალური პრობლემის განხილვაშიც მიიღო მონაწილეობა, რომლის მიზანს, მისივე დეფინიციით, „თურქეთის საქართველოს“ ისტორიულ სამშობლოსთან გაერთიანება წარმოადგენდა.

ახალციხეში არც გამბას უმოგზაურია, მაგრამ ამ რეგიონის შესახებ ინფორმაცია მაინც მოუპოვებია. წყაროდ ის ასახელებს ცნობებს, რომლებიც წარმოდგენილი ყოფილა სალონიკში საფრანგეთის კონსულის, ადრიან დიუპრეს (Adrien Dupré), გამოუქვეყნებელ ნაშრომში „მოგზაურობა“.¹² ერთ-ერთი ცნობა თურმე შეეხებოდა ქალაქ ახისხას (ახალციხეს), – ავტორის მიერ

⁹ ამ კეთილგანწყობის მიმართ ყურადღებას *მიმოსვრის* ტექსტის გამომცემელი ელენე მეტრეველიც ამახვილებს (გაბაშვილი, *მიმოსვრა*, გვ. 031-032).

¹⁰ Загурский, *Поездка в Ахалцихский уезд*, стр. 15-16; ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 16-17, 36.

¹¹ ხანთაძე, *გამბას მისია*, გვ. 5-9

¹² გამბა, *მოგზაურობა I*, გვ. 262, 347 (შენ. 1).

„თურქეთის საქართველოს დედაქალაქად“ მოხსენიებულს. მისი (დიუპრეს) თქმით, „თვით ქალაქი (ახალციხე, ნ. პ.) გარშემოვლებულია თხრილებითა და ქონგურებიანი ორმაგი ვალავნით, გარე-გარე ამოყვანილი კვადრატული და მრგვალი კოშკებით; ერთ-ერთი ციხესიმაგრე ზემოდან დაჰყურებს ქალაქს, სადაც გამგებლის სასახლის შორიასლო საუცხოო მეჩეთი დგას“.¹³

როგორც ჩანს, საფრანგეთის კონსული სალონიკში ოსმალთა იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციების საკითხებით დაინტერესებულა; ახალციხის (ჩილდირის) საფაშოშიც ყოფილა და მისი მთავარი მეჩეთი საკუთარი თვალთ უხილავს. შეფასება „საუცხოო მეჩეთი“ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეს ძეგლი ევროპელ მნახველებსაც ხიბლავდა. ასევე იგრძნობა, რომ ამ ინფორმაციის მოწოდებისას (სავარაუდოდ, XIX საუკუნის 20-იანი წლების შუახანს) „თურქეთის საქართველოს დედაქალაქი“ ომის მოლოდინშია, რაზეც მიგვანიშნებს „გარშემოვლებული თხრილები“ და სხვა საფორტიფიკაციო საშუალებები, რომელთა დახმარებით ოსმალთა ხელისუფლებას თავი რუსეთის ჯარისა და ქართული მილიციის ერთობლივი ოპერაციისაგან უნდა დაეცვა.

ახალციხის დაბრუნებისათვის ბრძოლა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1828-1829) – 1828 წლის 15-16 აგვისტოს – წარმატებით დასრულდა, რასაც საქართველოს იმდროინდელი პრესა დიდი ინტერესით და დადებითად გამოეხმაურა. იგულისხმება კავკასიაში პირველი რუსული გაზეთი „Тифлисские Ведомости“ (1828-1833)¹⁴ და მისი ქართული ვერსია „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832).¹⁵ ეს იყო ყოველკვირეული სამთავრობო გაზეთი, რომელსაც რედაქტორობდა უკრაინელი სწავლული, სახელმწიფო მოხელე და სამხედრო ექსპერტი, ლიტერატორი და ჟურნალისტი პავლე სანკოვსკი (Павел Степанович Санковский; 1798-1832).¹⁶ ის თავის გაზეთში აქტიური კორესპონდენტისა და ავტორის მოვალეობასაც ასრულებდა და საკუთარ პუბლიკაციებს მეტწილად ხელს ასე აწერდა: „П. С.....ский“ // „პ. ს.....სკი“.

¹³ გამბა, *მოგზაურობა I*, გვ. 265. დაზუსტებას მოითხოვს შოთა ლომსაძის ინფორმაცია: „საინტერესო ცნობები შემოგვინახა (...) ახმედის მეჩეთის შესახებ ფრანგმა მოგზაურმა გამბამ თავისი მოგზაურობის მეორე ტომში“ (ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 37). ამ „მოგზაურობის“ მე-2 ტომის ქართულ თარგმანში ცნობა *ახმედის მეჩეთის* შესახებ არ ჩანს (შდრ.: გამბა, *მოგზაურობა II*).

¹⁴ Зерцалов, *Библиография*, стр. 1.

¹⁵ ბაქრაძე, *ქართული პერიოდიკის*, გვ. 3.

¹⁶ ბიოგრაფია: ბერძნული, *მასაღები*, გვ. 171-172; ჯოლოგუა, *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*, გვ. 43, 486.

ზოგჯერ კი მასალებს სხვანაირი ინიციალით: „П. С.“; „С. П.“ // „პ. ს.“; „ს. პ.“, ანდა ანონიმურად აქვეყნებდა. ამ პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ ეს ღრმად განათლებული პიროვნება საქართველოსა და ქართულ თემატიკას უაღრესი პატივისცემით ეპყრობოდა.¹⁷ მას, ცხადია, მოეხსენებოდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომს შედეგად, რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში, ახალციხის მხარის სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნება მოჰყვებოდა და სამართლიანობა აღდგებოდა. იქნებ ამიტომაც ის არ ერიდებოდა საფრთხეს და ახალციხისათვის ბრძოლას ფრონტის წინა ხაზიდან აკვირდებოდა; ჩანაწერებსაც ადგილზე აკეთებდა. სწორედ მისი კორესპონდენციები და სტატიები ეხმარება მეტწილად მკვლევარ-ისტორიკოსებს ახალციხისათვის ბრძოლების, მათი შედეგებისა და თბილისში ამ ამბებთან დაკავშირებული სამხედრო-სამოქალაქო და საეკლესიო-რელიგიური ქმედებების შესწავლის საქმეში.

შოთა ლომსაძე არაერთგზის იმოწმებს „Тифлиские Ведомости“-ის რედაქტორის პუბლიკაციებს, მაგრამ ის ავტორის ვინაობას (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად ანონიმურობას ამჯობინებდა)¹⁸ არ ეხება. ალბათ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ მისი ნაშრომის ამსაკითხთან დაკავშირებულ მონაკვეთში პერიოდული პრესის მონაცემები (ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები) სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. ამას გარდა (რაც მთავარი და არსებითია): არ დასტურდება მითითება შესაბამისი მასალის ქართულ შესატყვისზე და, ზოგადად, „Тифлиские Ведомости“-ის ქართული ვერსიის (ორეულის), ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში დამკვიდრებული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ამ ორგანოს „პარალელურ განმეორებაზე“,¹⁹ – „ტფილისის უწყებანზე“. მიზეზი ნათელია: კვლევის ამ მიმართულებით წარმართვა ისტორიკოსი ავტორის ამოცანას არ შეადგენდა. ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ყურადღების ამ ველზე გადატანა

¹⁷ გავითვალისწინოთ, რომ ის, წარმოშობით უკრაინელი აზნაური, ევროპული განათლებით იყო აღჭურვილი; 1823 წლიდან ოჯახით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. აქვე ცხოვრობდა მისი ძმა, სამხედრო მოხელე ანდრია, რომელიც ქართველი თავადის ასულზე, თამარზე, დაქორწინდა (შედარებით ვრცლად: ბერძნიშვილი, *მასაღები*). თემაზე „პავლე სანკოვსკი და ქართული კულტურა“ იხ.: პაპუაშვილი, *სორომონ დოდაშვიდი*, გვ. 155-156. ცნობილია პუშკინის ნათქვამი: „სანკოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს“ (გოცაძე, *პირველი ქართული ჟურნალი*, გვ. 234).

¹⁸ რედაქტორისაგან ასეც იყო (და არის) მოსალოდნელი. შდრ.: პაპუაშვილი, *სორომონ დოდაშვიდი*, გვ. 154.

¹⁹ აბრამიშვილი, *„ფფილისის ვედომოსტები“*, გვ. 237.

გამართლებული და დროულია, რათა შეუსწავლელი არ დარჩეს ქართული ჟურნალისტიკისა და მთარგმნელობითი ხელოვნების ერთი თვალსაჩინო ფურცელი: „Тифлисские Ведомости“-ის მასალების ქართულად მთარგმნელისა და ამ გამოცემის ქართული ვერსიის რედაქტორის – სოლომონ დოდაშვილის (1805-1836)²⁰ – მთარგმნელობით-შემოქმედებითი ღვაწლის ეს მიმართულება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შოთა ლომსაძემ აღნიშნა, რომ ახმედის მეჩეთი „თავისი ადგილისა და მდგომარეობის მიხედვით (...) საქართველოს ძეგლია (...) და არ შეიძლება ეს ძეგლი დავაცილოთ ჩვენი კულტურის სხვა ძეგლებს.“ მანვე „მიუტევებელი შეცდომა“ უწოდა 1951 წელს თბილისში სულეიმანის მეჩეთის დანგრევას, – „ერთადერთი მეჩეთისა, სადაც ესვენა აგრეთვე ხატი ქრისტესი.“²¹ ასე რომ, შოთა ლომსაძემ ქართულ-ისლამური კულტურის ძეგლების გეგმაზომიერ შესწავლას სტიმული მისცა და წინამდებარე შრომაც მისგან გაკვალული გზის გაღრმავებას ემსახურება.

ახალციხისათვის წარმოებულ ბრძოლებსა და მის შედეგს, ახმედის მეჩეთს, მის წიგნსაცავსა და სხვა მონათესავე საკითხებს პავლე სანკოვსკი „Тифлисские Ведомости“-ის მთელ რიგ პუბლიკაციაში ეხება. თითოეულ პუბლიკაციას პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს, რის გამოც სასურველია მათი სრულად დამუშავება და აკადემიურად გამოცემა. ამჟამად სამ სტატიას დავიმოწმებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ანოტაციითა და კომენტარით:

I. Внутренняя Известия // შინაგანნი ამბავნი – „Тифлиссские Ведомости“, 1828, 29. VIII, №9, с. 1-2 // „ტიფლისის უწყებანი“, 1828, 29. VIII, №9, გვ. 2-3. ერთ-ერთი „ამბავი“ წარმოადგენს კორესპონდენცია-რეპორტაჟს, რომელიც გადმოგვცემს თბილისში 1828 წლის 23 აგვისტოს შემდგარ საყოველთაო ზეიმს სამხედრო აღლუმით, სახალხო მსვლელობით, სადღესასწაულო წირვა-ლოცვითა და ელიტარული ბანკეტით, რომელშიც მართლმადიდებელი, კათოლიკე, ლუთერანი და სომეხი სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. ზეიმი მიეძღვნა „ოსმალის ქოსა მაჰმად ფაშაზე“ გამარჯვებასა და ახალციხის გათავისუფლებას, რუსული ზარბაზნის ჰურვით მეჩეთის გუმბათიდან ნახევარმთვარის ჩამოგდებასა და

²⁰ „Тифлиссские Ведомости“-ის ქართული გამოცემის მთარგმნელისა და ხელმძღვანელის მოვალეობას რომ სოლომონ დოდაშვილი ასრულებდა, პირველად პაატა გუგუშვილმა დაამტკიცა: გუგუშვილი, *ქართული ჟურნალისტიკა*, გვ. 77-78; ჯოლოგუა, *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*, გვ. 44-46.

²¹ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 34-35.

საფაშოს სხვა ატრიბუტიკასთან ერთად მის თბილისში ჩამოტანას.²² რაც შეეხება ავტორობის საკითხს, არაფერი გვიშლის ხელს, რომ ამ „ამბის“, ისე როგორც რუბრიკის სხვა ანონიმურად გამოქვეყნებული „ამბავნი“-ს, ავტორ-კორესპონდენტად რედაქტორი, პავლე სანკოვსკი, მივიჩნიოთ.

II. Военный праздник. Из записок П. С скаго // სამკედრო დღესასწაული. წერილიდგან პ. ს სკისა. – „Тифлиссские Ведомости“, 1828, 26. IX, №13, с. 3-4 // „ტფილისის უწყებანი“, 1828, 26. IX, №13, გვ. 2-3; 3. X,²³ №14, გვ. 4. სტატიამი აღწერილია „ოსმალთა ფაშალიკის დამორჩილები“ გამო 11 სექტემბერს ახალციხეში გამართული სამხედრო დღესასწაული და ბანკეტი, რომელზეც ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო არყით (უნდა ვიფიქროთ, თუთის არყით) შეუსვამთ. ზეიმს ამ კორესპონდენციის ავტორიც დასწრებია. მისი ეს სტატია არის პირველი პუბლიკაცია ამ გაზეთში, რომელშიც აღნიშნულია ახალციხის „ახმედოვის მეჩეთის“, „ჩინებული მეჩეთის“ მართლმადიდებელი ეკლესიის სამსახურში ჩაყენების ფაქტი: მის დარბაზში სამი ანალოგიის („три аналоя“// „სამი საწიგნის“) შეტანა, მათზე ხატების დასვენება და იქ პირველი ლიტურგიის შესრულება. ამდენად, ჩვენთვის ცნობილი ხდება ახმედის მეჩეთის ქრისტიანულ ეკლესიად გამოცხადების თარიღი: 1828 წლის 11 სექტემბერი. აქვე მოცემულია „დაწვრილებითი აღწერა გარეშემოდგომისა და აღებისათვის ახალციხისა“ და აღიარება იმისა, რომ „გამბედაობა მტრისა იყო ესოდენ დიდი“ და იმდენად საყოველთაო, რომ „თვთ დედაკაცნი შეჭურვილნი მონაწილეობდნენ ბრძოლასა ამას შინა.“

III. Ахалцихская мечет и библиотека (Из записок П. С скаго) // ახალციხის მეჩეთი და ბიბლიოტიკა პ. სან. . . . კის ზაპისკებიდგან. – „Тифлиссские Ведомости“, 1828, 16. X, №16, с. 2-4 // ამ ნომრის ქართული გამოცემა ჯერჯერობით არ ჩანს;²⁴ „ტფილისის უწყებანი“, 1828, 24. X, №17, გვ. 2-4; 31. X, №18, გვ. 4. მასში ვრცლადაა დახასიათებული ახალციხის მთავარი მეჩეთი და მისი წიგნადი ფონდი. იქვე მოცემულია ამ ფონდის მეცნიერული შეფასების პირველი ცდა და შედარება ისლამური ლიტერატურის იმ სხვა წიგნად ფონდებთან, რომლებიც რუსული არმიის დანაყოფებმა იმხანად ახალციხის მხარის მეზობელ ოლქებში მოიძიეს და თბილისში ჩამოიტანეს. ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს სწორედ ამ

²² ამავე ზეიმზე, „ნადავლის“ თბილისში ჩამოტანის კონკრეტულ თარიღზე მითითებით, საუბრობს აგრეთვე ვასილი პოტო (იხ. ქვემოთ).

²³ დედანში გაპარულია კორექტურა: ნაცვლად ოქტომბრისა წერია სექტემბერი. შდრ.: აბრამიშვილი, „ტფილისის ვედომოსცემი“, გვ. 254.

²⁴ შდრ.: აბრამიშვილი, „ტფილისის ვედომოსცემი“, გვ. 254.

სტატიისა და მისი ქართული თარგმანის აღწერა, გაანალიზება და ტექსტის პუბლიკაცია წარმოადგენს.

„Тифлисские Ведомости“-ის 1828 წლის მე-16 ნომრის სანქტ-პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის (ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკის) ეგზემპლარი, რომლის ფოტოპირი ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებისათვის და ციფრული ვერსია განთავსებულია ინტერნეტში, შემდეგი თავისებურებით გამოირჩევა: სტატიაში „Ахалцихская мечет и библиотекa (Из записок П. С скаго)“ ინიციალის ხუთი წერტილის თავზე მეტონით წარწერილია ხუთი ასო „а н к о в“,²⁵ რაც აღნიშნული აბრევიატურის გაშიფვრას ანუ სტატიის ავტორის ვინაობის გაცხადებას ემსახურება.

დაისმის კითხვა: ვინ არის ამ კრიპტოგრამ-ინიციალის გამხსნელი? რადგან წერტილთა ზედწერილი „а н к о в“ მხოლოდ პეტერბურგის ნაციონალური ბიბლიოთეკის ეგზემპლარს ახლავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გაშიფვრა იმავე სივრცეში მოხდა. მისი შემოქმედი უეჭველად საგანში ღრმად ჩახედული და დარგის პროფესიონალი მკვლევარია. ასეთად წარმოგვიდგება აღნიშნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი გასული საუკუნის 40-60-იან წლებში – ანდრო აბრამიშვილი, რომელიც ინტენსიურად მუშაობდა ქართული წიგნისა და პერიოდული პრესის ისტორიის საკითხებზე.²⁶ ის, მისივე ცნობით, 5-6 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ბიბლიოთეკის „საბჭოთა ხალხებისა და აღმოსავლეთ-საზღვარგარეთელ ხალხთა ლიტერატურის განყოფილებებს“,²⁷ იყო მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარი ბიბლიოგრაფი და „П. С скаго“-ს საიდუმლოს გაცხადებას, – პავლე სანკოვსკის ავტორობის დადგენას, – მას უნდა ვუმაღლოდეთ. ასე რომ, სტატია ნამდვილად გაზეთის რედაქტორს ეკუთვნის.

საზგასმა და დაზუსტება სტატიაში, რომ აქ მოთხრობილი ამბები ჩანაწერებს („ზაპისკებს“) ეფუძნება, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ ამბების დიდი ნაწილი ადგილზე, ახალციხეში, მოვლენათა კვალდაკვალ აღინუსხა

²⁵ აღნიშნული პირისა და ვერსიის წარმომავლობაზე მიგვითითა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსმა შორენა ოსიპოვამ. მანვე მოგვაწოდა ცნობა, რომლის თანახმად მე-16 ნომრის ამ ბიბლიოთეკაში დაცულ ერთადერთ ეგზემპლარს ეს წარწერა არ ახლავს.

²⁶ ზემოთ მითითებული ლიტერატურის (სქ. 19) გარდა იხ.: კეკელიძე, *ახალი ნარკვევი*, გვ. 352.

²⁷ ვსარგებლობთ მისი წერილით „ქართული ბეჭდვითი ფონდები ლენინგრადში“ (აბრამიშვილი, *ლიტერატურული წერილები*, გვ. 247-248).

(დაფიქსირდა), რის გამოც სანდოობის ხარისხი ერთობ მაღალია.

ჩვენ წინაშეა გაზეთის ფორმატივით შთამბეჭდავი კორესპონდენცია, რომელიც წყაროების დასახელების კულტურით, ანალიზის სიღრმით, აკადემიური სტილით გამოირჩევა და, ამდენად, მეცნიერული ნაშრომის ყველა კრიტერიუმს შეესაბამება. მასში აღწერილია „ახალციხის მთავარი მეჩეთი“ და მისი კომპლექსი, რომლის არქიტექტურას, ავტორის დაკვირვებით, „ევროპული ხუროთმოძღვრების წესი“ ახასიათებს. მკითხველი ეცნობა ამ ძეგლის თითქმის ყველა წახნაგს; ხედავს გალავანში მდებარე ქვის ორ სტელას და მათ ეპიგრაფებს – ახმედ ფაშასა და მისი მეუღლის, აიშე ხანუმის, საფლავთა ქვებს თურქულ ენაზე შესრულებული წარწერებით. აქ საკმარისი ადგილი აქვს დათმობილი ძეგლის ისტორიას: მშენებლობის დაწყებისა და დასრულების თარიღებს, ახმედ ფაშას აღსასრულის წელს და სხვა ისეთ მონაცემს, რაც ავტორს ადგილზე და ომის ცხელ კვალზე მოუპოვებია. რად ღირს, თუნდაც, ამ კონტექსტში კონსტანტინოპოლისა და აია სოფიას ხსენება, რომელთან ახმედის მეჩეთის მსგავსებას, თურმე, ადგილობრივი მოსახლეობა უსვამდა ხაზს?²⁸ ნაშრომის მეცნიერულ ხარისხს იმის აღნიშვნაც ჰმატებს, თუ რომელი ცნობა ეყრდნობა დოკუმენტურ მასალას და რომელი – ხალხში მოარულ ხმებს. აქ, მაგალითად, მოიპოვება პასუხი კითხვაზე: ადგილობრივთა რწმენა, რომლის თანახმად ჰაჯი ახმედ ფაშას სიკვდილით დასჯის მიზეზად მეჩეთში ლოცვის დროს საკუთარი თავის სულთანთან გათანაბრება იქცა, უტყუარი ფაქტია თუ ფოლკლორული გადმოცემა?²⁹ შთამბეჭდავად აღწერილი

²⁸ ამასვე აღნიშნავს ვასილი პოტო: „ის (ახმედის მეჩეთი, ნ. პ.), როგორც ამბობენ, აშენებულია კონსტანტინოპოლის წმ. სოფიას მიხედვით“ (Потто, *Кавказская война*, стр. 190).

²⁹ გაურკვეველია საფუძველი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაუღებელი მოსაზრებისა, რომ, თითქოს, სულთანისაგან ახმედ ფაშას „სიკვდილით დასჯის ერთ-ერთ მიზეზად“ ახალციხის „ე. წ. მეჩეთის“ „აია სოფიას ტაძრის სტილით“ აგება იქცა (იველაშვილი, *რეგიური უმცირესობანი*, გვ. 110-112; ყრუაშვილი, *წმინდა ჯვრის*, გვ. 25-26). განა სულთანი „ცათა მობაძავ“ აია სოფიას თავადაც მეჩეთად არ აღიქვამდა?! აია სოფია მეჩეთად ხომ დიდი ხნის წინ გადაკეთდა?! ანდა რა დატვირთვა აქვს ამ შემთხვევაში გამოთქმას „ე. წ.“ ვინმეს ოდესმე ეჭვი ეპარებოდა ახალციხის ამ შენობის მუსლიმურ დანიშნულებაში, ანდა: საფაშო-საათაბაგოში ის ამ ფუნქციას არ ასრულებდა? მეჩეთი, ისე როგორც ეკლესია, არქიტექტურულად ასეთივე შეიძლება იყოს და ისეთიც: რაღაცით აია სოფიასაც ჰგავდეს, ბოლნისის სიონსაც და ნებისმიერ სხვა ტაძარსაც. ახმედ ფაშას სიკვდილით დასჯის ნამდვილ მიზეზს რაც შეეხება, ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია და მას არც არქიტექტურასთან და არც ფაშას რელიგიურ

ავტორის, როგორც „პირველი გიაურის“, მინარეთზე ასვლისა და იქიდან ნაცარტუტად ქცეული ქალაქის ხილვის სცენა, რაც მას, ალბათ, ბიბლიიდან „გატიალეების სიბილწეს“ (დანიელი 9:27; მათე 24:15) გაახსენებდა და იმედიც ჩაესახებოდა, რადგან თვალი მოჰკრა ბაზარს, რომელიც ნელ-ნელა ცოცხლდებოდა. პუბლიკაციაში ვეცნობით ახმედის მეჩეთის სპეციფიკური ნიშნებს: კედლები შემკობილია მხოლოდ ყურანის ციტატებით მუსლიმთა რწმენის სხვა ფორმულების გარეშე, რაც მას მეჩეთების უმრავლესობისაგან გამოარჩევდა. ჩვენს სახილველს, ასევე, ინტერიერისა თუ ექსტერიერის ბევრი სხვა თავისებურება და ღირსშესანიშნაობა წარმოუდგება, რომელთა აღწერა დღემდე ერთდერთ, თანაც უძველეს და სანდო წყაროს მნიშვნელობას ინარჩუნებს ახალციხის მთავარი მეჩეთის თავგადასავლისა და პირვანდელი სახის რეკონსტრუქციისათვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პუბლიკაციის ყველა დეტალი საკითხის კვლევა-ძიების გაღრმავებისათვის ფასეულია. ეს ფასი ერთიორად გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საფლავთა ქვები, რომელთა წარწერები ათაბაგების საგვარეულო სახლისა და თვით ამ ძეგლის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა, დღეს გაუჩინარებულია და დაკარგულად ითვლება.³⁰ ასევე გაუჩინარებულია ბევრი სხვა ნივთი და დავიწყებულია ის ფოლკლორული გადმოცემები, რომელთა შინაარსის შემონახვა მეტწილად პავლე სანკოვსკის დამსახურებაა.

ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაინც პუბლიკაციის იმ მონაკვეთს ენიჭება, რომელშიც ლაპარაკია ახმედის მეჩეთის კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებაზე. აქ დახასიათებულია მედრესეს („ლიცეუმის“) ბიბლიოთეკა და მოცემულია მისი წიგნადი ფონდის რჩეული ნაწილის დარგობრივი ბიბლიოგრაფია. ესაა მწიგნობრობის ამ კერის შექმნის, შევსებისა და მისი ერთეულების აღწერის პირველი ცდა. ჩვენ უკვე გვაქვს წარმოდგენა ახმედ

პრაქტიკასთან კავშირი არა აქვს (შდრ.: ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 38, სქ. 142). მოსაზრება, რომლის თანახმად „ამ შენობის მთავარი არქიტექტორი“ მას „მართლმადიდებლურ ეკლესიად აშენებდა“, როგორც ჩანს, დამყარებულია თანამედროვე ქრისტიან ჯაყელთა „საგვარეულო სახლში“ არსებულ, თუმცა გაურკვეველი წარმომავლობის ლეგენდაზე (შდრ. ია აბულაშვილის ინტერვიუ პროფ. კახაბერ ჯაყელთან: „რეზონანსი“, 2013, 6. IV, №89, გვ. 5-6).

³⁰ ეს ფაქტი დავიდასტურა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელმა ნატო ყრუაშვილმა. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ „რაბათის მეჩეთის“ იმ ფოტოზე, რომელიც ახლავს ლევან სუთიძის სტატიას „ნახევარმთვარის მოტაცება“ („ტაბულა“, 2011, 31. I, №41, გვ. 31-35), კარგად ჩანს გალაგანში მიმოფანტული სტელები წარწერებით. დასადგენია ფოტოს გადაღების დრო და მასალის ამჟამინდელი დაცულობა.

ფაშას ინტელექტუალურ დონესა და ინტერესთა პორიზონტზე, რომლის შესაბამისად ბიბლიოთეკის კოლექცია იზრდებოდა და მდიდრდებოდა. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ამ ბიბლიოთეკისათვის დახმარების ხელი ოსმალეთის უმაღლეს მმართველს, სულთან მაჰმუდსაც, გაუმართავს და შესანიშნავი ხელნაწერი წიგნი „ოსმალთა ისტორია“ უჩუქებია. ეჭვი არაა, რომ ბიბლიოთეკას სხვა მზრუნველიც გამოუჩნდებოდა, რომლის სახელი და ღვაწლი მედრესეს დავთარსა და წიგნებზე იქნებოდა აღბეჭდილი. უნდა ვიფიქროთ, რომ კვლევა-ძიების გადრმაგება ამ მხრივაც ბევრ სიახლეს გააცხადებს.

სანკოვსკის პუბლიკაცია არის პირველწყარო ამ ფონდის აღრიცხვის, გარჩევისა და თავგადასავლის შესწავლის გზაზე. ცნობას, რომლის თანახმად ეს ფონდი სხვადასხვა ჟანრის ექვსას ერთეულ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნს აერთიანებდა, ფართო საზოგადოებას პირველად ამ პუბლიკაციამ აუწყა. იქ აღნიშნულია, თუ როდის და რა ვითარებაში დაინტერესდა ფრონტის მთავარსარდალი, გენერალი ივანე პასკევიჩი (1782-1856), ახალციხის მეჩეთის ბიბლიოთეკით; როგორ მიანდო მან წიგნების დაცვის, აღწერისა და შემდგომი ბედის გარკვევის საქმე განათლებულ გენერალს, გრაფ ნიკოლოზ მურავიოვს (1794-1866); როგორ მოხდა ამ ფონდის დანაწილება.

ისტორიისათვის ერთობ მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: რა მოტივით იქნა ამ ფონდის ნახევარი, 300 ერთეული, ახალციხიდან გატანილი, ნახევარი კი ადგილზე, სავარაუდოდ, მედრესეს იმავე ოთახში დატოვებული? მოტივის თაობაზე სტატიის ის მონაკვეთი მიგვანიშნებს, რომელიც სწავლულების, მათ შორის ჩვენი ავტორის, ბიბლიოთეკაში შესვლასა და ბიბლიოგრაფიული სამუშაოს ჩატარებას ასახავს. ფონდის შემოწმების შემდეგ ექსპერტებმა შემდეგი დასკვნა გამოიტანეს: კოლექციის ნახევარს მეტწილად მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, ნახევარს კი – სასწავლო და პრაქტიკული; შესაბამისად, სასურველია, რომ პირველი ნახევარი „ჩვენს ეროვნულ საგანძურს“ შეემატოს, მეორე ნახევარი კი ამავე სასწავლებელში დარჩეს „ღვთისმსახურების გასაგრძელებლად და სასწავლებლის შესანარჩუნებლად“. აქედან ირკვევა, რომ ბრძოლების დასრულების (1828 წლის 16 აგვისტო) პირველ დღეებში გამარჯვებულ მხარეს მედრესეს შენობის ფუნქციის შეცვლა ჩაფიქრებული არ ჰქონდა.³¹ გადაწყვეტილება ამის თაობაზე მას შემდეგ მიიღეს, რაც მეჩეთი ეკლესიად გადააკეთეს: 1828 წლის 11 სექტემბერი (იხ. ზემოთ). ეკლესიის გვერდით,

³¹ თურმე არც იმპერატორ ნიკოლოზ პირველს ჰქონდა ეს ჩაფიქრებული, რაც ჩანს მის წერილში პასკევიჩისადმი (დარჩიაშვილი, *ახარციხე*, გვ. 30).

მის ეზოში, მედრესეს არსებობა, ცხადია, შეუძლებელი გახდებოდა და, დიდი ალბათობით, მოსამსახურე პერსონალიც, ვინც სისხლისღვრას თავი დააღწია და ოსმალეთში არ გაიხიზნა, ასეთ ვითარებაში მოღვაწეობას ვერ გააგრძელებდა. ამიტომ როგორც მედრესეს, ისე ბიბლიოთეკის გაუქმების საკითხი დღის წესრიგში დადგებოდა და მალევე გადაწყდებოდა. ამასობაში კი მეცნიერული თვალსაზრისით გამორჩეული „სამასი წიგნი“ (მკვლევარ-კორესპონდენტის ინფორმაციის თანახმად) თბილისში ჩამოიტანეს.

სტატიის მიზანშეწონილია საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ისლამური ხელნაწერების ერთი დიდი და მრავალფეროვანი კოლექციის გამორჩეული ერთეულების სისტემური კატალოგი (ერთეულებისა და დარგების დასახელება იხ. ქვემოთ, პუბლიკაციაში). ესაა, ამასთანავე, საქართველოს პრესაში ხელნაწერთა აღწერილობისა და ბიბლიოგრაფიის განთავსების პირველი ფაქტი, რომელმაც, ეჭვი არაა, ქართულ ენაზე შესაბამისი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დახვეწასაც შეუწყო ხელი თუნდაც ამ ენაზე მისი ტექსტის ამეჭყველების მეშვეობით (იხ. ქვემოთ). ამ სტატიის მეცნიერულ დონეს ცხადყოფს ახალციხის კოლექციის გვერდით მეორე ანალოგიური კოლექციის მოხსენიება და მოკლე შედარებითი ანალიზი; იმის აღნიშვნა, რომ ახალციხის კოლექციის უპირატესობა თემატურ მრავალფეროვნებაში მდგომარეობს.³² შედარების ობიექტია არდებილის ხელნაწერების კოლექცია, რომელიც ამ ქალაქის მთავარი მეჩეთიდან (ახალციხის კოლექციის მსგავსად) იქნა გამოტანილი და აღექვანდრე გრიბოედოვის მიერ 1828 წლის 1 ივლისს თბილისში ჩამოტანილი. ბუნებრივია, რომ პავლე სანკოვსკის ყურადღების არეალში ეს კოლექციაც მოექცა.³³

პავლე სანკოვსკის, როგორც რედაქტორის, ხელი შეეხო სტატიას, რომელიც მისსავე გაზეთში ასეთი ხელმოწერითა და სათაურით გამოქვეყნდა:

³² ახალციხის კოლექციის რამდენიმე ერთეულისა და დარგების დასახელება, პავლე სანკოვსკის ინფორმაციის მიხედვით, მოცემულია ნაშრომებში: მაჭავარიანი, *ახალციხის ბიბლიოთეკის*, გვ. 53-54; ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 39-40. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში შესული და დღესაც იქ დაცული 150 ერთეულის სია წარმოდგენილია რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლური ხელნაწერების განყოფილების ხელმძღვანელის, ოლგა ვასილევას, ნაშრომში (Васильева, *Письменные памятники*, стр.119-126), რომლის გაცნობის შესაძლებლობა ჩვენი კოლეგის, ვლადიმერ კეკელიას, დახმარებით მოგვეცა.

³³ უდავოდ პავლე სანკოვსკის ეკუთვნის საინფორმაციო მიმოხილვა ამ კოლექციის შესახებ რუბრიკაში „Внутренняя Известия“ // „შინაგანი ამბავნი“ („Тифлисские Ведомости“, 1828, 11.VII, №2, с. 1-2 // „ტფილისის ვედომოსტები“, 1828, 11.VII, №2, გვ. 2).

Н. М-въ, Анекдот („Тифлиские Ведомости“, 1829, 25. I, №4, с. 3) // ნ. მ-ვ, ანექდოტი („ტფილისის უწყებანი“, 1829, 4. II, №5, გვ. 4).³⁴ გარკვეულია, რომ ინიციალები „Н. М-въ“ და „ნ. მ-ვ“ ნიკოლოზ მურავიოვს ეკუთვნის.³⁵ უეჭველია (შინაარსის მიხედვით) ისიც, რომ სათაური შერჩეულია ამ ჟანრის, „ანექდოტის“, ძირეული მნიშვნელობის შესაბამისად და მიგვანიშნებს, თუ რაოდენ ღრმად განუცდია ავტორს ამ მოკლე მონათხრობით გადმოცემული ამბავი. ესაა ახალციხის მეჩეთისა და მედრესეს ბიბლიოთეკაში ქრისტიანი სწავლულების პირველად შესვლისა და მათ მიერ მანამდეც სახელგანთქმული ფონდის საკუთარი თვალით ნახვის სცენა. მათ (ამავე ავტორს და მის რედაქტორს) თან ახლდნენ მთავარსარდლის თარჯიმანი აბას-ყული აღა (Абнас-Кули-ага Бакиханов; 1794-1847)³⁶ და სამოცდაათი წლის მუსლიმი ეფენდი, რომელსაც „ანექდოტი“, სამწუხაროდ, საკუთარი სახელით არ იხსენიებს, მაგრამ მის სიბრძნესა და გამოცდილებას მიანიშნებს. ის მკვლევარ-ბიბლიოგრაფების წინაშე კონსულტანტის მოვალეობას ასრულებდა და ამ სამუშაოს წარმატებაში მისი წვლილი უდავოა. ავტორი საუბრობს პირველ პირში და მისი ტექსტი თანამედროვე ქართულზე ასეა თარგმნილი თამარ მაჭავარიანის მიერ:

„ხელნაწერების გარჩევის დროს, მე შევნიშნე ყუმბარა, რომელსაც ბრძოლის დროს გაეგლიჯა ბიბლიოთეკის სქელი კედელი და მეცნიერების წმიდათაწმიდის შუაგულში დაცემულა. ყუმბარა ხელში ავიღე, მივუტანე ეფენდის და [ღიმილით] ვკითხე: ‘რომელ თანრიგს მიაკუთვნებთ, პატივცემულო მოხუცო, ამნობათს’? ჩემი სიტყვების მწარე შთაბეჭდილებით მოხუცის შუბლი შეიჭმუნა. მან გამომართვა ყუმბარა, რამდენჯერმე შეატრიალა, ღრმად ამოიოხრა ამაყი ახალციხის დაცემის გამო და მიპასუხა: ‘ჩაწერეთ ქვეყნიერების უკუღმართობის მოგონებათა თანრიგში’.”³⁷

ჩვენ ხელთაა სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული სტატია „Учения известия“, რომელიც 1829 წლის 15 ნოემბერს „Тифлиские Ведомости“-ის

³⁴ „ტფილისის უწყებანის“ ამ ნომრის ეგზემპლარი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ ჩანს. მისი შინაარსი ცნობილია მხოლოდ ანდრო აბრამიშვილის აღწერით: აბრამიშვილი, „ტფილისის ვედომოსტები“, გვ. 258, №5.

³⁵ მაჭავარიანი, *ახალციხის მიძროთეკის*, გვ. 54, სქ. 2. ვრცლად იხ. ქვემოთ.

³⁶ Васильева, *Письменные памятники*, стр. 118.

³⁷ მაჭავარიანი, *ახალციხის მიძროთეკის*, გვ. 54. ჩანს, არც ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანს მოუწვდებოდა ხელი „ტფილისის უწყებანის“ მითითებულ ნომერზე.

№ 46-ში გამოქვეყნდა.³⁸ პუბლიკაცია ანონიმურია, თუმცა პავლე სანკოვსკის ავტორობა არც ამ შემთხვევაში ბადებს ეჭვს. მასში წიგნის ისტორიისათვის ერთობ საყურადღებო სურათს ვხედავთ: აღნიშნულ თარიღამდე, 1829 წლის 15 ნოემბრამდე, თბილისში თავი მოიყარა ხელნაწერთა და ნაბეჭდ წიგნთა ოთხმა კოლექციამ როგორც რუსეთის სამხედრო მოქმედებების „ნადავლმა“ ოსმალეთთან და ირანთან ომების დროს. ესენია ახალციხის, არდებილის, არზრუმისა და ბაიაზეთის კოლექციები. იქვე აღნიშნულია, რომ ამ კოლექციებში, ასობით ერთეულებში, არა ერთი და ორი უნიკალური ხელნაწერი მოიპოვება. სტატიაში, ამასთანავე, მოცემულია არზრუმისა და ბაიაზეთის 45 ხელნაწერის სისტემური კატალოგი (რაც ცალკე განხილვას იმსახურებს). სტატიაში არაფერია ნათქვამი, თუ რას ფიქრობდა ხელისუფლება ამ მასალის საბოლოო ადგილსამყოფელის შესახებ, თუმცა მისი შემდგომი ბედი მეცნიერებაში ცნობილია.

ანდრო აბრამიშვილის ნაშრომში „ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“³⁹ ვკითხულობთ, რომ ხსენებულ ბიბლიოთეკას „1829 წელს გადაეცა ახალციხის ახმედის მეჩეთში მიკვლეული 300-მდე იშვიათი ხელნაწერი და ძველი ბეჭდური წიგნი“.⁴⁰ იქვე დასახელებულია უურნალ „სანკტპეტერბურგსკიე ვედომოსტის“ 1830 წლის ნომრები (10, 17, 20, 23), რომლებშიც დაბეჭდილი ყოფილა „ფრენის წერილი ახალციხის ახმედის მეჩეთში შექმნილი ხელნაწერების შესახებ“.⁴¹ ინფორმაციას ახლავს კომენტარი: მართალია, ეს და ზოგიერთი სხვა გამოკვლევა თუ საარქივო მასალა ახმედის მეჩეთისა და კავკასიის სხვა მეჩეთების კოლექციებს „უმთავრესად არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებს მიაკუთვნებს, მაგრამ, ჩვენი დასკვნით, მათრიცხვში რამდენიმე ხელნაწერი უთუოდ ქართულ ენაზეც

³⁸ ამ ნომრის ქართული პარალელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის (შდრ.: აბრამიშვილი, *„ცფილისის ვედომოსტები“*, გვ. 260).

³⁹ მოკლე ვარიანტი დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ (1963, 29.XI, №48, გვ. 4), მეორედ (ვრცელი ვარიანტი) – ავტორის თხზულებათა კრებულში: აბრამიშვილი, *ლიტერატურული წერილები*, გვ. 262-281.

⁴⁰ კორექტივს საჭიროებს დავით კოჟორიძის ინფორმაცია, რომლის თანახმად „რუსმა მოხელეებმა“ „ახალციხის აღებისას პეტერბურგში იმპერატორის საჯარო ბიბლიოთეკისათვის სხვა მრავალ სიმდიდრესთან ერთად“ წაიღეს „600-მდე ძვირფასი ხელნაწერი და მრავალი წიგნი“ (კოჟორიძე, *განახლებული მესხეთი*, გვ. 118). როგორც ვხედავთ, ამ კოლექციიდან პეტერბურგში გაგზავნილი ერთეულების რიცხვი 300-ს არ აღემატებოდა. ეს შეცდომა ალბათ კონსტანტინოვის 1850 წელს გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ განაპირობა. შდრ.: Константинов, *Закавказский край*, стр. 101.

⁴¹ ამ წერილის გაცნობა ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ.

იყო.“ ბიბლიოგრაფი იმოწმებს, ზემოთ დასახელებული ორიენტალისტის (Христиан Данилович Френ; 1782-1851) გარდა, რამდენიმე მკვლევრის პუბლიკაციებს; გამოყოფს ალბერტ დორნის (1805-1881) 763 გვერდიან ნაშრომს „საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქსილოგრაფების კატალოგი“ (1852 წელს გამოცემული) და დასძენს: „ამ ნაშრომში შესულია მასალა 25 ენაზე, მათ შორის – ქართულ ენაზე (დასახელებულია რამდენიმე ხელნაწერი).“⁴²

აღნიშნული ინფორმაცია ჩვენთვის რამდენიმე კუთხით არის მნიშვნელოვანი: 1. დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახმედის მეჩეთის რჩეული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, სხვა ანალოგიურ კოლექციებთან ერთად, თბილისიდან პეტერბურგს 1829 წლის ბოლო თვეებში გაიგზავნა;⁴³ 2. ახალციხის ბიბლიოთეკის წიგნები პეტერბურგში აკადემიური განხილვის საგნად უმაღლვე იქცა და 3. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს ახალციხის მეჩეთის კოლექციაში ქართულენოვანი მასალის არსებობის შესახებ⁴⁴ საფუძველი აქვს.

პასუხი კითხვაზე, თუ რა ბედი ეწია ახალციხის კოლექციის ადგილზე დარჩენილ ნაწილს, ჯერჯერობით არ ჩანს.⁴⁵ დასაშვებია რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი: ა) ის 1828 წლის 16 აგვისტოს შემდეგაც მინარეთის

⁴² აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, გვ. 262-264.

⁴³ ოლგა ვასილევას ზემოთ (სქ. 32) დასახელებულ ნაშრომში ნათქვამია, „146 рукописных и четыре печатные книги из медресе при мечети Ахмедие“ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში 1829 წლის ივლისში შევიდაო (Васильева, *Письменные памятники*, стр. 118). ღიად ვტოვებთ საკითხს, აღნიშნული წლის რომელ მონაკვეთში ჩააღწია ახალციხის კოლექციამ იმპერიის დედაქალაქში: ივლისში თუ 15 ნოემბრის შემდეგ, როგორც ამას „Тифлиссские Ведомости“-ს ზემოთ განხილული პუბლიკაცია გვავარაუდებინებს.

⁴⁴ ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 41. თუმცა თამამად იმის თქმის საფუძველი, რომ „ახალციხის ციხის წიგნსაცავ-ბიბლიოთეკაში“ „მრავალი ქართული და უცხოური ხელნაწერი წიგნები ყოფილა დაცული“ (კოჟორიძე, *განახლებული მესხეთის*, გვ. 8), ჯერჯერობით თვალსაჩინო არ არის.

⁴⁵ ნათია დემურიშვილის ნაშრომში „მუსლიმური ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართველოში“ ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, (...) განადგურდა და უკვალოდ გაქრა წიგნსაცავის დიდი ნაწილი. გადარჩენილი წიგნები, დიდი რაოდენობით – პეტერბურგში იქნა გაგზავნილი, ერთი ნაწილი კი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიძინა კერძო პირისაგან“ (დემურიშვილი, *ისლამური ხუროთმოძღვრული*, გვ. 77). სამწუხაროდ, ამ ნათქვამს კონკრეტულობა აკლია, იქვე მითითებული ლიტერატურაში კი (სქ. 178) რაიმე ხელშესახებ ფაქტს ჩვენ ვერ მივაგენით, არადა ეს ინფორმაცია თავისთავად ერთობ საინტერესოა და ის დაზუსტებას მოითხოვს.

ბიბლიოთეკის მისთვის განკუთვნილ ოთახშივე დარჩა (გავისხენოთ სანკოვსკის ზემოთ დამოწმებული სიტყვები), მაგრამ ემსხვერპლა რაბათის მორიგ დარბევას, რაც ოსმალთა მიერ 1829 წლის 20 თებერვლიდან 4 მარტამდე ახალციხის დაბრუნების მიზნით განხორციელდა და როდესაც „მტერმა ქალაქის გაძარცვა მოასწრო“;⁴⁶ ბ) გატანილ, ანდა გატაცებულ იქნა ოსმალეთში და იქნებ დღემდე იქ, სადღაც, ინახება და გ) მინარეთის შენობიდან კოლექცია ჯერ რომელიმე სხვა შენობაში გადაიტანეს, შემდეგ კი ქალაქის იმ ბიბლიოთეკაში, რომლის „წიგნადი ფონდის ძირითადი ნაწილი“ 1914 წლის ოქტომბერში ხანძარმა გაანადგურა.⁴⁷ საიდუმლოს გაცხადების სურვილს ამძაფრებს ფაქტი, რომლის თანახმად კოლექციის ამ ნაწილზე, მეორე ნაწილისაგან განსხვავებით, საგნობრივი მონაცემები არ მოგვეპოვება. ადგილზე მისი დატოვების ზემოთ მითითებულ მოტივს (მასალის სასწავლო და რელიგიური დანიშნულება) შესაძლებელია სხვა მოტივიც ჰქონდა: ამ ნაწილში იქნებ ისეთი მასალა შეინიშნებოდა (არა აუცილებლად ქართულენოვანი), რომელიც ადგილობრივ გარემოს უფრო ესადაგებოდა, ვიდრე საერთაშორისო-აკადემიურ სივრცეს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რუსმა ექსპერტებმა ასეთი მასალის სამეცნიერო ცენტრში გაგზავნის საჭიროება ვერ დაინახეს და ოფიციალურად ჯერაც არ გაუქმებულ მდრესეში მისი დატოვება ამჯობინეს. ასეა თუ ისე, ამ კოლექციის გაუჩინარებული ნაწილის მოსაძებნად ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია.⁴⁸

⁴⁶ კოჟორიძე, *განახლებული მესხეთის*, გვ. 121; ლომსაძე, *ახალციხის მხარის*, გვ. 12-13. შოთა ლომსაძის თქმით, „რუს მოხელეებს (...) ხელთ ქონდათ მრავალი ქართული წერილი, წიგნი თუ დოკუმენტი (...) ათაბაგთა სახლიდან (...) თუ ახმედის სახელობის მეჩეთთან არსებული ბიბლიოთეკიდან, მაგრამ ყველა ეს დოკუმენტი ან მოისპო, ან უკვალოდ დაიკარგა, ან არადა რუსეთში გაიგზავნა“ (იქვე, გვ. 34).

⁴⁷ ყრუაშვილი, *ქართველთა შორის*, გვ. 18-19. ძნელია დაეთანხმო ამ სტატიის ავტორს, პროფ. ნატო ყრუაშვილს, როდესაც წერს: „რუსიფიკატორული პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში ახალციხის ბიბლიოთეკის დაშლა-განადგურებით დაიწყო“ (იქვე, გვ. 16). გაგვიჭირდება „დაშლა-განადგურება“ დავარქვათ იმას, რაც რუსმა სწავლულებმა სხენებულ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით მოიმოქმედეს. რომ არა მათი ყურადღება, ეს ფონდი დიდი ალბათობით ტოტალურად განადგურდებოდა. ამასთანავე: რაც ამ ფონდთან დაკავშირებით ახალციხეში მოხდა, „რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან“ კავშირი არა აქვს.

⁴⁸ იმის დასტურად, რომ თურქები მათთვის საყურადღებო დოკუმენტების საქართველოდან გატანით ნამდვილად იყვნენ დაინტერესებული, გვახსენდება დიმიტრი ბაქრაძის ინფორმაცია სამცხე-საათაბაგოში „ძველი ქართული აქტების“ შესახებ: „ამბობენ, ვითომც მოეგროვებინოს [ისინი] ოსმალეთის მმართველობას და მიეცეს კონსტანტინოპოლის არხივში“ (პაპუაშვილი,

დავუბრუნდეთ კვლევის ისტორიას.

ცნობებს ახალციხის მეჩეთსა და მის ბიბლიოთეკაზე ვხვდებით რუსულენოვან საცნობარო და სამხედრო-სამეცნიერო ლიტერატურაში.

საცნობარო ლიტერატურას განეკუთვნება კონსტანტინოვის წერილი სამხრეთ კავკასიის შესახებ, რომელიც 1851 წლის „Кавказский Календарь“-ში გამოქვეყნდა (მესამე განყოფილება, გვ. 65-132). ახალციხესთან დაკავშირებით მასში ნათქვამია: ციხე-ქალაქის კომპლექსს განეკუთვნება „прекрасная мечеть Ахмед-паши“, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიად არის გადაკეთებული. მეჩეთის გვერდით არსებობდა „მუსლიმთა სასულიერო სკოლა“, რომლის ბიბლიოთეკა მოიცავდა „600 рукописей, отправленных в Императорскую Публичную Библиотеку, в С. Петербург“.⁴⁹ ეს ინფორმაცია, ცხადია, ზუსტი არაა: პეტერბურგს, როგორც ამას იმდროინდელი პრესა გვაუწყებს, 300 წიგნი გაიგზავნა. ჩანს, ავტორი პავლე სანკოვსკის ზემოთ განხილულ წერილებს არ იცნობს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გენერალ-ლეიტენანტის, ნიკოლოზ უშაკოვის (1802-1861), ცნობა მის მიერ 1848 წელს ანონიმურად გამოქვეყნებული ნაშრომიდან, რომელშიც ვრცელადაა აღწერილი რუსეთ-თურქეთის ომი და ბრძოლები ახალციხისათვის. ის ამბატალიების მონაწილე გახლდათ და საფაშოს ღირსშესანიშნაობები მან საკუთარი თვალით იხილა. შესაბამისი მონაკვეთიდან ჩანს, რომ მის მეხსიერებაზე წარუშლელი კვალი დატოვა როგორც ქალაქის ციხე-სიმაგრემ, ისე (და პირველ რიგში) მთავარმა მეჩეთმა, მისმა სასწავლებელმა და ბიბლიოთეკამ, რომელსაც ის „აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო ბიბლიოთეკას“ უწოდებს.⁵⁰

დიდი ინტერესით იკითხება ზემოთ დამოწმებული მოგზაურის, ეთნოგრაფისა და მასწავლებლის, ლეონარდ ზაგურსკის, სიტყვები, რომლებიც ყოფილი მეჩეთის, მისი მოგზაურობის დროს კი ეკლესიის, ისტორიას შეეხება: „(...) იქვე, ეზოს დასავლეთ ნაწილში, ძველი მეჩეთის ნახევარ წრედ განლაგებული იყო ორსართულიანი შენობა გალერეებით. მასში განთავსებული იყო თავის დროს ცნობილი მედრესე და ბიბლიოთეკა. ყველა ეს ნაგებობა ჰაჯი-ახმედ-ფაშას ღვაწლს განეკუთვნება“.⁵¹ ავტორი მეტწილად სარგებლობს მისი მოგზაურობის დროს (1872 წლის ივლის-აგვისტოს) მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემონახული ზეპირი გადმოცემებით,

კოდიკოლოგიურ-ანქეოგრაფიული, გვ. 43).

⁴⁹ Константинов, *Закавказский край*, стр. 101.

⁵⁰ Ушаков, *История военных действий*, стр. 287.

⁵¹ Загурский, *Поездка в Ахалцихский уезд*, стр. 14.

რომელთა გადარჩენა ამ მოგზაურობის სასურველ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

ინფორმაციათა სიმდიდრით გამოირჩევა სამხედრო ექსპერტისა და ისტორიკოსის, გენერალ-ლეიტენანტ ვასილი პოტოს (1836-1911), ექსკურსი, რომელიც გვხვდება მის ხუთტომიან ნაშრომში „Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях“. მისი გამოკვლევის თანახმად, ახალციხის სამხედრო ნადავლი („ахалцихские трофеи“), რომელშიც მედრესეს ბიბლიოთეკის წიგნებიც იგულისხმება, თბილისში შტურმის მომდევნო დღესვე გაიგზავნა და იქ 23 აგვისტოს ჩააღწია, რასაც ქალაქში საზეიმო პროცესიები მოჰყვა. ნაშრომში ვკითხულობთ: „ქვეყანა ზეიმობდა თურქული თულის დამხობას, ნახევარმთვარის, როგორც უცხო ქვეყნის ძალადობის სიმბოლოს, სახელგანთქმული მეჩეთიდან ჩამოგდებას და ერთიანი სამეფოს ამ ნაწილის დაბრუნებას.“⁵² იქვე გვხვდება ცერემონიების აღწერა, რაც სრულ თანხმობაშია „Тифлисские Ведомости“-სა და „ტფილისის უწყებანი“-ს ანალოგიურ აღწერასთან (ანუ სანკოვსკის ზემოთ მიმოხილული სამი პუბლიკაციიდან პირველთან). „სამხედრო ნადავლის“ მოგზაურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოწოდებული სამხედრო საქმისა და ისტორიის სპეციალისტის მიერ, ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც აკონკრეტებს ამ „ნადავლისა“ და, კერძოდ, მედრესეს კოლექციის „რჩეული ნაწილის“ თბილისში ჩამოტანის თარიღს. შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ „ნადავლი“ (ცხადია, ბადრაგის თანხლებით და აუჩქარებელი ნაბიჯით) ახალციხიდან 17 აგვისტოს დაიძრა და დედაქალაქში ექვსი დღის შემდეგ ჩამოვიდა. ამ ინფორმაციის მეშვეობით სანკოვსკის განხილული ინფორმაცია (კორესპონდენცია-რეპორტაჟი) ქრონოლოგიის ელემენტით ზუსტდება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკუთრივ ახალციხის მეჩეთისა და მისი ბიბლიოთეკის შესახებ ერთადერთი ნაშრომი მოგვეპოვება. ესაა დამსახურებული ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის, კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის (ამჟამინდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის) კავკასიოლოგიის (ახლანდელი ქართველოლოგიის) განყოფილების დამაარსებლისა და გამგის, თამარ მაჭავარიანის (1895-1979),⁵³ სტატია „ახალციხის ბიბლიოთეკის შესახებ“, რომელიც

⁵² Потто, *Кавказская война*, стр. 186-187.

⁵³ ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა: კავკასიძე, *თამარ მაჭავარიანი*, გვ. 2-6.

1937 წელს გამოქვეყნდა.⁵⁴ მკვლევრის მთავარი მიზანია პუბლიკაცია „Ахалцихская мечеть и библиотека (Из записок П. Сскаго)“-ს ფართო ჭრილში განხილვა და ამ გზით საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის შევსება. ჩანს, ავტორი სარგებლობს „Тифлиские Ведомости“-ის 1828 წლის⁵⁵ №16-ის იმ ეგზემპლარით, რომელშიც ინიციალს „П. Сскаго“ მინაწერი ასოები „а н к о в“ არ ახლავს (იხ. ზემოთ). ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული ნომრის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარზე, რომელიც დასახელებულ წარწერას შეიცავს,⁵⁶ მას ხელი არ მიუწვდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მკვლევარს განსახილველი პუბლიკაციის ავტორის ვინაობა ეცოდინებოდა და საქართველოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურების მქონე მოღვაწეს, პავლე სანკოვსკის, ასე არ მოიხსენიებდა: „винше П. С...ский“.

ნაშრომში გადმოცემულია პავლე სანკოვსკის სტატიის მოკლე შინაარსი და ყურადღება გამახვილებულია სისტემატურ კატალოგზე; მასში დამოწმებული ერთეულებიდან დასახელებულია ოცდაათი ერთეული: „კიტაბ-სიბევე“, „შარხი იშარატ“, „ხელე მუშკულაიტ“, „შარხე აკაიდ“, „ტეხრიბ“ და სხვა. იქვე აღნიშნულია, თუ რამდენად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს განსახილველ მასალას; დასმულია საკითხი ფონდის გაყოფის პრინციპის შესახებ და შემოთავაზებულია ასეთი დაკვირვება: „რუსეთის თვითმპყრობელობის გენერლები თავს არ მოიტყუებდნენ“ და „ახმედის მიზგითისათვის“ მხოლოდ „მცირე და ნაკლებმნიშვნელოვან“ მასალას დატოვებდნენ, უფრო ფასეულ ნაწილს კი იმპერიის ცენტრში გაგზავნიდნენ. ნაშრომში მიმოხილულია ნიკოლოზ მურავიოვის „ერთი პატარა წერილი“; გამოკვეთილია მისი ავტორის, აგრეთვე გრაფ პასკევიჩის, თარჯიმნ აბას-ყული-აღას და „მოხუცი ევენდი ახალციხელის“ დამსახურება

⁵⁴ მაჭავარიანი, *ახალციხის ბიბლიოთეკის*, გვ. 53-55. ამ სტატიის ტექსტი გამოქვეყნებულია ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკა“-ში სათაურით „ახალციხის მიზგითის ბიბლიოთეკის ისტორიიდან“ (2004, №3, გვ. 47-48). პუბლიკაციას ხელს აწერს ეროვნული ბიბლიოთეკის საცავ-მუზეუმის გამგე ირინა ვოგლიძე, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს თამარ მაჭავარიანის ტექსტს მისი (ანუ ნაშრომის რეალური ავტორის) მოხსენიებისა და წყაროს მითითების გარეშე. ერთადერთი შესამჩნევი ცვლილება, რომელიც მას წინა პუბლიკაციაში შეაქვს, არის „მიზგითი“-ს შეცვლა „მიზგით“-ით.

⁵⁵ ბიბლიოგრაფიულ მითითებაში დაშვებულია კორექტურა: არის „1829 წ.“ ნაცვლად 1828-ისა.

⁵⁶ ამ მინაწერის და ეგზემპლარის შესახებ იხ. ზემოთ შენ. 25.

ფონდის პირველადი დამუშავების საქმეში და წარმოდგენილია ამ წერილის („Анекдот“-ის) მთავარი ნაწილის ქართული თარგმანი (იხ. ზემოთ). თამარ მაჭავარიანმა პირველად მიაქცია ყურადღება მინაწერს „Ник. Ник. Муравьев“, რომელიც გვხვდება „Тифлисские Ведомости“-ის 1829 წლის №4-ის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტში დაცულ ეგზემპლარზე, ინიციალ „Н. М-ВЪ“-ის ქვეშ. მან გაარკვია, რომ მინაწერი შესრულებულია დამსახურებული მკვლევარ-ბიბლიოგრაფის, კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკის დირექტორის – ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918) – ხელით. აქედან ცხადია, რომ აღნიშნული კრიპტოგრამ-ინიციალის გახსნა ევგენი ვეიდენბაუმის დამსახურებაა, ხოლო მისი მიგნება, პუბლიკაცია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოყვანა – თამარ მაჭავარიანისა.

თანამედროვე მკითხველის ყურადღებას, ალბათ, სათაურის მეტისმეტად დაწურვაც მიიქცევს: „ახალციხის ბიბლიოთეკის შესახებ“. უნებლიეთ დაისმის კითხვა: რომელი ბიბლიოთეკის? – კერძო, სახელმწიფო, საეკლესიო-სამონასტრო, სათავადო, ანდა: ძველი თუ ახალი ბიბლიოთეკის? შესაძლებელია, აქ საქმე ინტერესის პროვოცირების ერთგვარ ხერხთან გვაქვს, მაგრამ ამის თქმა გავიჭირდება ზემოთ უკვე ნახსენებ ტერმინზე „მიზგითი“. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ერიდება სიტყვა „მეჩეთის“ ხსენებას და მის ნაცვლად ყველგან „მიზგითის“ ხმარობს („ახალციხის მთავარი მიზგითი“). სხვანაირად რომ ვთქვათ, თანადროული პუბლიკისათვის უფრო პოპულარულ სახელწოდებას „მეჩეთი“ ის ბევრისთვის ნაკლებად ცნობილი სახელწოდებით ცვლის: „მიზგითი“. ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ ეს მიზანმიმართული მანიპულაციაა, იმდროინდელი (1937 წლის) საბჭოთა იდეოლოგიით და ცენზურით ნაკარნახევი.⁵⁷ გავითვალისწინოთ, რომ

⁵⁷ ვისაც საბჭოთა ცენზურასთან (ანუ, იგივე, მთავლიტთან) საქმე ჰქონია, იცის, რომ ცენზორი ე. წ. „საშარო საქმის“ ანუ პარტიისათვის არასასურველი მოვლენის აღსანიშნად, როგორც წესი, ფართო მასისათვის ბუნდოვანი სიტყვის „გაშვებას“ ამჯობინებდა. ამნაირ უცნაურობას ერთხელ მეც, ამ სტრიქონების ავტორი, გადავეყარე. 1981 წლის ზაფხულში მე და საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების გამგემ, ეპისკოპოსმა კონსტანტინე მელიქიძემ, მთავლიტში „გავრცელების ნებართვისათვის“ საქართველოს ეკლესიის კალენდრის მორიგი ნომრის (1982 წლის) ტექსტი წარვადგინეთ. გამოცემა ერთი ბიბლიური წიგნისა და დავით გარეჯელის „ცხოვრების“ ახალი თარგმანების პუბლიკაციას ითვალისწინებდა. „ცენზორმა“ განაცხადა, თანამედროვე ენაზე დაწერილი რელიგიური ტექსტი ყველასათვის გასაგებია, მისი ბეჭდვაში გაშვება რელიგიის პროპაგანდის ტოლფასია, როს გამოც თავის შეკავება გვმართებს; ახლა კი მოვაწერ ხელს,

პუბლიკაცია კარლ მარქსის სახელობის სივრცეში მომზადდა, რაც ავტორს სიფრთხილის გაორმაგებას აიძულებდა; ის ვალდებული იყო, კონკრეტული ინსტიტუციის პროფილის გარშემო ეტრიალა და თვალი სხვაგან, ამ შემთხვევაში, რელიგიისაკენ არ გაპარვოდა. თითქოს ამ ვალდებულების სკრუპულოზურად შესრულებასაც, პარტიის ზეწოლისაგან თავის დაცვასაც ემსახურება სტატიის ბოლო ფრაზა: „უნდა ვიფიქროთ (...), რომ ახალციხე საინტერესო ასპარეზია მკვლევარისათვის და, ალბათ, კიდევ მოიძებნება იქ ძველი საბუთები, ხელნაწერები და წიგნები“.

როგორც ვხედავთ, განსახილველი თემის შესახებ პირველხარისხოვან პუბლიკაციას „Ахалцихская мечеть и библиотека (Из записок П. С[анков] скаго)“ არაერთი მკვლევარი იცნობს და იმოწმებს. ვასაკვირია, რომ მათგან არცერთი არ ასახელებს მის ქართულ თარგმანს, რომელიც ანონიმურად გამოქვეყნდა „Тифлиссские Ведомости“-ის ქართულ პარალელში „ტფილისის უწყებანი“ სათაურით „ახალციხის მეჩეთი და ბიბლიოტიკა პ. სან. . . . კის ზაპისკებიდგან“.⁵⁸ ზემოთ, სანკოვსკის სამი წერილის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში, აღვნიშნეთ, რომ „Тифлиссские Ведомости“-ის 1828 წლის №16-ის ქართული ვარიანტი ჯერჯერობით არ ჩანს. საბედნიეროდ მოიპოვება მომდევნო ნომრები: 17 და 18,⁵⁹ რომლებშიც მოცემულია განხილული სტატიის ქართული თარგმანი მეორე აბზაციდან ბოლომდე; დიდი ნაწილი დაბეჭდილია №17-ში.

აღნიშნული თარგმანი წინამდებარე პუბლიკაციის მეშვეობით სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოდის და, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ინტერესით დაისმის კითხვა: ვინაა მთარგმნელი? პასუხს ადვილად მივაგნებთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ „Тифлиссские

მაგრამ მირჩევნია, ძველი, მკითხველისათვის ძნელად გასაგები ტექსტი დაიბეჭდოსო. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია!

⁵⁸ გამონაკლისია ანდრო აბრამიშვილი, რომელიც წერს: „ტფილისის უწყებანის“ „№ 16 ჩვენთან (ე. ი. პეტერბურგში, ნ. პ.) არ არის და ამისათვის მისი აღწერა მე არ მომიხდა.“ მე-17 და მე-18 ნომრები კი მის ბიბლიოგრაფიაში აღწერილია. ჩვენთვის საყურადღებო სტატია სქოლიოში მიმოხილულია და ნათქვამია: „ბიბლიოთეკა მთლიანად არაბულ და სპარსულ ენაზე ყოფილა და მეტწილ ლიტ. ძეგლებს ავტორი (სანკოვსკი, ნ. პ.) მიაწერს V და უფრო წინა საუკუნეებს“ (აბრამიშვილი, „ტფილისის ვედომოსტები“, გვ. 254-255). გაუგებარია, რას ემყარება ეს ქრონოლოგია, რადგან ასეთი თარიღი განსახილველ ტექსტში არ დასტურდება. შდრ. ქვემოთ: დედნისა და მისი თარგმანის პუბლიკაცია.

⁵⁹ როგორც ჩანს, ამ ნომრების ეგზემპლარებზე თამარ მაჭავარიანს 1937 წელს ხელი არ მიუწვდებოდა, რადგან მათ შესახებ არაფერს ამბობს.

Ведомости“-ის ქართული პარალელის, „ტფილისის უწყებანის“, შექმნა ერთადერთ სწავლულ მთარგმნელის ჰქონდა მინდობილი და ეს სწავლული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოლომონ დოდაშვილი გახლდათ. პავლე სანკოვსკი მის ნიჭსა და მთარგმნელობით უნარს დიდად აფასებდა, რის გამოც მასთან ინტენსიურად თანამშრომლობდა.⁶⁰ ამას გარდა: ვის შეეძლო იმ დროს თბილისში ამ სირთულის ტექსტის ქართულად თარგმნა, თუ არა ქართული გრამატიკის ავტორსა და ქართული ენის პედაგოგს – სოლომონ დოდაშვილს?!

ამ თარგმანის შესრულება დიდი დროსა და ენერგიას უფრო იმის გამო მოითხოვდა, რომ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია მაშინ ნორმირების საწყის ეტაპზე იმყოფებოდა და პრობლემები ხშირად იჩენდა თავს. ამ თარგმანის გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე იგივე გაზეთი ბოდიშს უხდოდა მკითხველებს ენის საკითხში მოუწესრიგებლობის გამო და მიზეზს ასე განმარტავდა: „არიან ისეთნი ლექსნი“, რომლებიც „ქართულსა ენასა ზედა არა ყოფილან ჳმარებუნი აქამომდე და არცა თარგმნილ“ („ტფილისის უწყებანი“, 1818, 10.X, №15, გვ. 4). ცხადია, ეს მთარგმნელ-რედაქტორის, სოლომონ დოდაშვილის, განმარტებაა და ქართულ პუბლიცისტიკაში ამ საკითხის გარშემო პირველად გაულერებული სიტყვა. ასეთ ვითარებაში არაა გასაკვირი, რომ ეს სტატია სწრაფად ვერ ითარგმნა და მისი ბეჭდვა სამ ნომერში გაიწელა (იხ. ზემოთ).

ამ თარგმანის ღირსება-ნაკლოვანებათა აღნუსხვა წინამდებარე გამოკვლევის მიზანს შორდება. პირველ რიგში იმის აღნიშვნა გვმართებს, რომ იმდროინდელი სალიტერატურო ქართულის ნაკლოვანებები ამ ტექსტის თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. მაგალითად სათაურიც გამოგვადგება: „ახალციხის მეჩითი და ბიბლიოტიკა (...) ზაპისკებიდგან“. არც თუ იშვიათად ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფორმით გვხვდება; ერთსა და იმავე აბზაცში სახელი ახმედი სამნაირადაა დაბეჭდილი: „აჳმად“, „ახმედ“ და „აჳმედ“, ასევე – „მინატერი“, „მინარიითი“ და „მინარეტი“. ალაგ-ალაგ თარგმანს სიზუსტე აკლია: „учебное заведение“ გადმოღებულია „სწავლითი ესე დაწესება“-დ, სტატიის ბოლო სიტყვა „честнолюбие“ – „პატიოსნების მოყვარება“-ად და მისთ. პუბლიკაცია არც ცხადი შეცდომებისგანაა დაზღვეული: „Сия библиотекa содержала до шести сот рукописных и печатных книг“ – „ბიბლიოტეკა ესე იპყრობდა ექვსიათასამდე (!) ჳელნაწერთა და ბეჭდილთა წიგნთა“. უკანასკნელი,

⁶⁰ პაპუაშვილი, *სარმიელი და მემკვიდრეობა*, გვ. 157-161.

რა თქმა უნდა, სტამბის შეცდომაა, ისე როგორც ბევრი სხვა ანალოგიური უზუსტობა, რაც სარედაქციო და სასტამბო საქმის არახელსაყრელი პირობებით უნდა აიხსნას.

ასეა თუ ისე, ესაა ქართულ პერიოდიკაში სამეცნიერო მასალის პირველი პუბლიკაციადაპირველი პროფესიული აღწერასაქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი წიგნადი ფონდისა, ამ ქვეყნის ისლამური კულტურის ყველაზე თვალსაჩინო ნაწილისა. ის შესრულებულია იმ დროს, როდესაც კოდიკოლოგია და ტექსტოლოგია, როგორც დისციპლინა, თვით ევროპასა და რუსეთშიც კი ზრდა-განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამდა; როდესაც საერთაშორისო ასპარეზზეც კი შესაბამისი სიტყვებისა და გამოთქმების უნიფიცირებას მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა.

ასე რომ, განსახილველი თარგმანი ქართულ რეალობაში მოცემული დარგის დაფუძნების პირველ მოკრძალებულ ცდად წარმოგვიდგება და ეს ცდა სოლომონ დოდაშვილის სახელს უკავშირდება.

* * *

ზემოთქმულის საფუძველზე გადავწყვიტეთ განხილული მასალის დედნისა და თარგმანის პარალელურად გამოცემა, რათა დაინტერესებულ მკითხველს ტექსტების შედარება და შეფასება გაუადვილდეს. რუსული ორიგინალი მცირედით გადამუშავდა თანამედროვე სალიტერატურო რუსულის მართლწერის კვალობაზე.⁶¹ თარგმანს დიპლომატიური გამოცემის პრინციპით წარმოვადგენთ.

⁶¹ კონსულტაციისათვის მადლობას მოვასხენებთ კოლეგა-ფილოლოგებს: ქ-ნ Тая Астрит-ს და ბ-ნ ანზორ სიჭინავას.

პუბლიკაცია

Ахалцихская мечеть и библиотека
(Из записок П. С[анков]скаго

Ахалцихская главная мечеть, известная под названием Ахмедиевой, представляет необыкновенное явление в сем городе: среди странного лабиринта нескладных Азиатских строений и среди древних зубчатых стен цитадели, возвышаются позолоченные купола, произведение правильного Европейского зодчества; поверхности этих куполов ныне везде покрыты опустошительными следами меткого бросания бомб, нашей осадной Артиллерии. Мусульманские луны частью опрокинутые, частью сорванные со своих мест, представляют изображение низпровергнутого здесь, силою Российского оружия, Оттоманского владычества.

Ахмедиева мечеть и все к оной принадлежности построены из тесанного камня. Обширные ворота, служат входом во дворе мечети, с правой стороны коих находится маленькая комната в роде каземата: в сем убежище, во время последней осады, Турецкие Паши отдыхали от трудов и опасностей. Не много подалее, с той же стороны, на дворе, среди не большой ограды, стоят два памятника; на одном из них вырезаны сии слова на Турецком языке: здесь покоится прах богоугодника Визира Аджи Ахмед Паши скончавшався в 1173 году (по летоисчислению Египры). Другой памятник есть могила Айше Ханум супруги сего Паши. Ахмедиевой мечети положено основание Пашею Ахмедом в 1161 году, по Магометанскому исчислению; она окончена 7 лет после и получила свое наименование от сего Паши.

ახალციხის მეჩეთი და ბიბლიოთეკა
პ. სან. . . . კის ზაპისკებიდან

[ახალციხის მთავარი მეჩეთი, რომელიც ცნობილია ახმედის სახელით, არაჩვეულებრივი მოვლენაა ამ ქალაქისათვის: აზიურ ნაგებობათა უცნაურ ლაბირინთებსა და ციტადელის ძველ ქონგურებიან კედლებს შორის აღმართულია მისი გუმბათები, ევროპელი ხუროთმოძღვრების წესით ნაგები; გუმბათების ზედაპირს ეტყობა ჩვენი მოალყე არტილერიის ზუსტად ნასროლი ბომბების დამანგრეველი კვალი. მუსულმანური მთვარე თავისი სადგომიდან ნაწილობრივ მორყეული, ნაწილობრივ მოგლეჯილი გამოხატავს რუსული იარაღის ძალით დამხობილ ოტომანების სამფლობელოს.]

აჰმადის მეჩეთი და ყოველნივე მისნი გარემოებანი აღშენებულ არიან თლილის ქვით. მეჩეთს აქვს დიდროანი ალაყაფის კარები ეზოში შესასვლელად, რომელთაც მარჯვენას მხარეზედ არის ერთი პატარა ოთახი ზერზამინის მსგავსი. ჟამსა უკანასკნელის შემოსაფარისასა აქ განისვენებდნენ ოსმალოს ფაშები შრომისა და შიშისაგან. ამაზედ ცოტაოდენ შორს იმავე მხარეზე ეზოში საშუალ ერთის პატარის გალავნისა დგას ორი ძეგლი. მათგან ერთზედ აღმოთხრილია ეს სიტყვები ოსმალურს ენაზედა: აქ განისვენებს მტკვერი ღვთის მოთნეს ვეზირის ჰაჯი ახმედ ფაშისა გარდაცვალებულისა ჩროგ-სა წელსა (ჰიჯრის აღრიცხვისამებრ წელთა). მეორე ძეგლი არის საფლავი აიშე ზანუმ – ამ ფაშის მეუღლისა. ახმედის მეჩეთის საძირკველი ჩაუყრიეს აჰმედ ფაშას ჩრდა წელსა მაჰ-მადიანთ აღრიცხვისამებრ. მეჩეთი ესე დასრულებულა შვიდ წელიწადზე და მერე მიუღიეს თავისი წოდება ამ ფაშისაგან.

Посреди двора устроен фонтан, к коему идущие во храм молиться, приходили для очищения себя, по обычаю Мусульман. Фонтан сей есть единственное водохранилище, снабжающее водою цитадель.

Вход во храм украшен перестилем, поддерживаемым четырьмя колонами. Уверяют, что сия мечеть построена по образцу мечети Св. Софии в Константинополе. Красивая наружность и щастливое расположение частей, всех принадлежащих к оной строения, делают сие здание предметом особенного замечания в Азиатском городе.

Внутренние стены сего святилища, кроме нескольких надписей из Алкорана, не имеют никаких посторонних украшений, как и все прочие Мусульманские мечети. Спереди находится род небольшого алтаря, обложенного зеленоватою яшмою. На лево впереди же построено возвышенное место, поддерживаемое колонами, для которого сделано снаружи по широкой лестнице особенный ход. Сие почетное место вовремя молитвы занимал сам Ахмед Паша. Ежели верить преданию, существующему в Ахалцихе, сие отличие было причиною его смерти. Таковая почесть, принадлежит одному Султану и Ахмед Паша за присвоение себе оной был казнен. Ежели же видеть вещи с настоящей точки зрения, то должно думать, что сие обстоятельство служило только предлогом к исполнению одного из тех самопроизвольных определений, коих примеры бывают нередки при Турецком деспотизме. – Ахмед Паша принял с благоговением священный снур и праху его отдана отличная почесть. Предание сие служит доказательством, что Турецкие Паши в Азии, 60 лет тому назад, более повиновались своему Султану нежели в настоящее время; ибо как видно из истории управления Грузиею Российским начальством, уже во

мზოს გარეთ საშუალო გაკეთებულია შადრევანი, სადაცა პირველად მლოცველნი მოვიდოდნენ თავიანთ გასაწმედელად მუსულმონების ჩვეულებისამებრ. შადრევანი ესე არის მხოლოდ წყლის შემნახველი, საიდამაც ნარიყალა სარგებლობს წყლით. მეჩითში შესავლელს ადგილს ავლია მოაჯირი ოთხის სვეტიანი. გვარწმუნებენ რომელ მეჩითი ესე აშენებულია კონსტანტინეპოლის ჰაია სოფიის გვარზედ. გარეთი მშვენიერება და ბედნიერად დაწყობილება ყოველთა მისთა შენობათა წარმოდგენენ ამა მეჩითსა, საგნად საუცხოოს შენობისა აზიურს ქალაქსა შინა.

შინაგანთა კედელთა ამის განსაწმენდელისათა, გარდა რომელთამე ალყორანიდგან წერილითა[.] არა აქვთ არა ვითარნი სხუანი განშვენებანი, ვითარცა ყოველთა სხვათა მუსულმანის მეჩითთა. წინათ იმყოფება არა დიდის საკურთხევის გვარი, შემოხვეული მომწვანე იასამნითა. მარცხნივ წინათვე აღშენებულ არს მალლობი ადგილი დაჰურილი სვეტებითა, რომლისა თვსცა გაკეთებულ არს გარეგან განიერს კიბეზედ საკუთარი შესავალი. პატივცემული ადგილი ესე დროსა ლოცვისასა ეპერა თვთ ახმედ-ფაშასა. უკეთუ ვერწმუნნეთ გარდმოცემასა, რომელიცა იმყოფების ახალციხესა შინა, განსხუება ესე იყო მიზეზად სიკვდილისა მისისა. ესე ვითარი პატივი ეკუთვნის ერთს სულთანს და ახმედ-ფაშა მითვებისაჲს მისისა იყო დასჯილ. უკეთუ ვიხილოთ ნივთნი აწინდელის ხილვის წერტილიდგან, მაშინ უნდა ვიზრახოთ, რომელ გარემოება ესე მხოლოდ ჰმსახურებდა მიზეზად აღსრულებისა ერთისა მათ თვთ წარმოებითთა განსაზღვრებათაგანისა, რომელთაცა მაგალითნი იქმნებიან არა იშვით ოსმალოს დესპოტიზმთან. – ახმედ-ფაშამან მიიღო კეთილ მოწიწებით სამღთო სიკვდილი და მტკერსა მისსა მიეცა განსხვავებული პატივი. გადმოცემა ესე ჰმსახურებს დამტკიცებად, რომელ ოსმალოს ფაშანი აზი-

время Главнокомандующего Цицианова в 1802 году, сии отделенные от Дивана властелины весьма малое признавали над собою влияние Султанского владычества, и даже известный Пехлеван Паша, в недавнем времени посланный для наказания своевольных Ахалцихцев, с тридцатью тысячным корпусом, был ими совершенно разбит.

При входе во храм, с правой стороны, прилегает высокой минарет складенной из того камня, из коего построены прочие здания.¹ Я взобрался на верх по тесной лестнице складенной улиткою во

аბა შინ, უწინარეს სამოციხისა წლისა[,] დაემორჩილებოდნენ თვსსა სულთანთა, ვიდრელა აწინდელსა დროსა შინა; ვინაჲდგან ვითარცა იხილვების ისტორიიდან საქართველოს მმართველობანი როსსიის მთავრობისა მეზრ დროსა უკვე მთავარ მართებლის ციციანოვისა ჩებ-სა წელსა[,] განშორებულთა ამათ სამფლობელოთა დივანიდან აღიარეს თვთ ზედა ფრიად მცირე მოქმედება სულთანის მეუფებისა და ჩინებული პეხლევან ფაშა არა დიდხანია წარმოგზავნილ დასჯისათვის თავისუფალთა ახალციხეთა სამი ათასის კორპუსითა სრულიად დამარცხებულ იყო მათ მიერ.

ტაძარსა შინა შესასვლელთან მარჯვნივ კერძო შერთულ არს მაღალი მინატერი დაწყობილი მის ქვისაგანვე, რომლისაგანცა აღშენებულ არიან სხუანი შენებულებანი¹.

¹ Минареты, составляют необходимую принадлежность Турецких мечетей: Турки не имеют колоколов и не позволяли иметь оных Христианам в Ахалцихе, где они были терпимы и где Армянские Католики имели свою церковь. Вместо колокольной служат у Мусульманам минареты, с коих Муллы созывают народ на молитву. Здания сии обращают особенное внимание по своему устройению и прочности в Азии, где несмотря на частыя землетрясения, неизменно долго сохраняются. Доказательством тому служит известный в сих странах Шамхорский столб, который есть ни что иное как минарет древняго города, коего видны ныне развалины в 30 верстах от Елисаветополя. Мы стараемся собрать точнейшия сведения о сем памятнике древности и в последствии надеемся оныя сообщим нашим читателям.

¹ მინარეტნი შეადრგენენ საჭიროსა კუთვნილებასა ოსმალთს მეჩითისა: ოსმალთა არა აქვდათ ზარები და არცა ნებასა პრთავდნენ ქრისტიანეთა, რათა ჰქონოდათ იგინი ახალციხესა შინა, სადაცა მოთმენილ იყვნენ იგინი და სადაცა სომხის კათოლიკეთა აქვდათ თვისი ეკლესია. ნაცვლად სამრეკლოჲსა ჰმსახურებენ მუსულმანთა მინარეტნი, რომლითაცა მოლანი მოუწოდვენ ერთა ხალოცავად. შენებულებანი მიაქცევენ საკუთარნა (!) ყურადღებასა თვისს შენებლებისა (!) და სიმტკიცისა მეზრ აზიასა შინ, სადაცა მიუხედველად მიწის ძვრისა გრძლად იფარვიან. ამის დახამტკიცებელად ჰმსახურებს ამათ კერძოთა შინა საცნაური შამხორის სვეტი, რომელიცა არს არა რამე სხვაჲ, თვნიერ მინარეტისა ძველის ქალაქისა, რომლისაგა ნაქცევი იხილვებიან აწცა ოცდაათის ვერსტზედ ელისავეტპოლიდგან. ჩვენ ვმეცადინებთ, რათა შევადრგინოთ ნამდვილნი ცნობანი ძველისა

внутренности минарета. Верхняя часть столба, около которой обвивается лестница, была разрушена и крайние ступени сильно пострадали от бомбы, которая, упавши на самую вершину, сорвала луну, осколками сбросила часть перил и продолжала свои опустошения во внутренности минарета. Сия луна, свалившаяся с самой высокой точки покоренного города, приобщена к прочими трофеям взятым у Турок. Достигнув вершины минарета, мне представилась мысль, что можешь быть я первой из Гиануров взшел на то место, откуда недавно Мулла созывал на молитву правоверных жителей Ахалциха, славящихся во всей Азии своею храбростью и непокорностью, и 250 лет не испытывавших превратности военного счастья. – Воображение мое и взоры беспорядочно останавливались на толпе разнообразных предметов. – На окрестных возвышениях чернелись оставленные батареи, разрытые шанцы, опрокинутые туры; за городом белелись раскинутые лагеры; в городе на огромность пространств еще дымились развалины по коим скитались отчаянные Турки; подалее осененные крестами представлялись взорам свежие могилы Русских, убитых на брани; не далеко от сего образа смерти и опустошения народ толпился по новооткрывшемуся базару...

მე აღველ იწროსა კიბეზედ მოხვევით დაწყობილზედ შინაგან მინარეთისა. ზევითი კერძო სვეტისა, გარემო რომლისაცა შემოუხვევის კიბე, იყო დაქცეულ და კიბის ნაპირნი ყუმბარისაგან ვნებული, რომელიცა დაეცა რა თვთ წ[ვ]ერსა ზედა და მოჰგლიჯა მთვარე, ნაბეთქებითა გარდაადგო ნაწილნი საჩეხთანი და განაგრძო თვსნი მოჭრებანი შინაგან მინარეთისა. მთვარე ესე გარდაქცეული თვთ დამორჩილებულის ქალაქის მადლობის წერტილიდგან შეერთდა ოსმალითაგან აღებულთა სხუათა ტროფეითთანა. მივწვდი რა წვერსა მინარეთისასა, მე წარმომიდგა აზრი, რომელ იქმნება პირველი მე აღველ დიპუროვთაგან ადგილსა მას ზედა, საითგანაც არა დიდისანია მოლა უწოდდა სალოცავად ახალციხის მართლმორწმუნეთა მცხოვრებთა, რომელნიცა ქებულ იყვნენ ყოველსა აზიასა შინა თვსითა მწნეობითა და დაუმორჩილებლობითა და რომელნიცა ორას ორმოცდაათს წელს არა გამოცდილ იყვნენ გარდაქცევასა სამკედროდსა ბედნიერებისასა. – გამოხატვა ჩემი დასახილველნი უწესოდ დასდრგებოდნენ გუნდსა ზედა სხუა და სხუა სახითა საგანთასა. – გარემოთა მადლობთა ზედა ჰშავდებოდნენ დაშთენილნი პატნეზნი[,] განგლეჯილნი ფუნდრუკნი, დამხობილნი ტურნი; ქალაქს გარეთ თეთრდებოდნენ განტვევებულნი ბანაკნი; ქალაქსა შინა დიდსა სივრცესა ზედა ჰპოლავდნენ კვალადცა ნაქცევნი, სადაცა მიმოივლიდნენ განწირულნი ოსმალნი; უშორეს წარმოუდგებოდნენ სახილველთა ჯვრებით დაგრილებულნი ახალნი საფლავნი ბრძოლასა შინა მკვდართა რუსთანი; არა შორს ამას სიკვდილის სახისა და აღოსრებისა ერი ირეოდა ახლად განხსნილსა ბაზარსა ზედა...

მის სხენებისათვის[;] შემდგომ ვიმედვეულებთ, რათა ვაცნობოთ იგინი ჩვენთა მკითხველთა.

Я удалился от своего предмета, но чьих чувств не поразит подобная картина?

Оставив минарет, я вошел на другой двор, находящийся с западной стороны. Пространство, занимаемое Ахмедиевою мечетью, окружено с восточной и южной стороны каменною довольно красивою оградою, с севера прилегают крепостные стены, с запада находится известный в Азиатской Турции Ахалцихский Лицей; храм, стоящий посреди огражденного пространства, разделяет сие место на два двора: первый принадлежащий мечети, второй лицее. Строение, в коем помещается сие учебное заведение, построено в два этажа, из коих каждой содержит длинный ряд комнаты; верхние покои сообщаются галлереею, покрытою сводами, коих арки поддерживаются с низу длинною колонадою. Все колонны украшающия здания, которые принадлежат мечети, суть Тосканскаго ордена и имеют бронзовые корнизы.

В Ахалцихском лицее находилась одна из лучших восточных библиотек, собранная и обогащенная попечением Ахмеда Паши, при основании сего учебного заведения. Сия библиотека содержала до шести сот рукописных и печатных книг. Не простительно, было бы, не воспользоваться симъ случаем, умножить учебные пособия нашего отечества: из сего книгохранилища выбрано триста книг, но при сем дележе Ахмедиева мечет и лицей сохранили необходимые средства первая к продолжению богослужения, а второй к поддержанию училища.

Замечательнейшая из всех книг найденных

მე განვკვირდი თვისა საგნისაგან, გარნა ვისა გრძნობასა არა მოსწყლავს მსგავსი სახე[?!]

დაუტყვე რა მინარეტი[,] მე შაველ სხვა კარზედ, რომელიცა იყო დასავლეთის კერძო. სივრცე დაპყრობილი ახმედის მეჩითითა გარე მოვლებულ იყო აღმოსავლეთის და სამხრეთის კერძო ქვიტიკის საკმაოდ შვენიერის ზღუდითა. ჩრდილოეთით შეერთვიან ციხის კედელნი, დასავლეთით იმყოფების აზიის ოსმალთა შინა საცნაური ახალციხის ლიციე; ტაძარი, მდგომარე საშუალ გარემოზღუდვლის სივრცისა[,] განჰყოფს ადგილსა ამას ორს ეზოდ: პირველი ეკუთვნის მეჩითსა და მეორე ლიციისა. შენება, რომელშიაც დატევილ არს სწავლითი ესე დაწესება, აღშენებულ არს ორს ეტაჟად, რომელთაგანცა თვითოეული იყრობს ვრცელსა რიგსა ოთახთასა; ზევითნი სადგომნი შეერთდებიან ღალღურეთითა, თაღებით დაფარულითა, რომელთაცა არკნი იყრობიან ქვედგან გრძელის სვეტებითა. ყოველნი სვეტნი შენებულების განმამუნებელნი, რომელნიცა ეკუთვნიან მეჩითსა, არიან ტოსკანის ორდენნი და აქვთ ბრონძის კორნიზნი.

ახალციხის ლიციეში იმყოფებოდა ერთი უკეთილესთა აღმოსავლეთის ბიბლიოტეკათაგანი, შეკრებული და განმდიდრებული მზრუნველობითა ახმედ ფაშისათა[,] დროსა ამის სწავლითის დაწესების დაფუძნებისასა. ბიბლიოტეკა ესე იყრობდა ექვსიათასადმდე (!) ჴელნაწერთა და ბეჭდილთა წიგნთა. მიუტყვებელ იყო, რათა [არ] გვესარგებლებინა შემთხვევითა ამით განმრავლებისათვს სწავლითნი ღონის ძიებანი მამულისა ჩვენისანი: ამ წიგნთა შესანახავდგან აღრჩეულ არს სამასი წიგნი, გარნა ამასთან ახმედის მეჩეთი და ლიციე იყრობდნენ საჭიროთა საშუალობათა, პირველის ღვთის სამსახურის განგრძობისათვს, ხოლო მეორე სასწავლებლის შეწვენისათვს.

უმესანიშნველესნი ყოველთა პოვნილთა

в Ахалцих есть первая часть *Китаб Сибев* (основание Арабского словосочинения и риторики). Сия драгоценная рукопись, как видно из надписи на оной находящейся, переписана в 547 году, с другого манускрипта, писанного в 389 году по Егире; то есть: приобретенная в Ахалцихе копия Китаб Сибеве написана 697 лет тому назад.

Кроме сего манускрипта, рукописи и книги выбранные из Ахмедиевой мечети суть следующие: три рукописные Алкорана, из коих один примечателен особенно рукописною роскошью. Тэфсир (толкования Алкорана) известнейших сочинителей как то: Кази Беизавы, Кешаф, Имам Фахрарази, Абусейд, Дуруло, Менсура и прочие. Богословие Шерхи Ишарат, Хелте Мушкулят и Шархе Акаид. Перевод Псалтыря на Арабском языке. Философические сочинения Техзыб, Шархи Хиали, Казмир и прочия.

Разные законодательные и судопроизводительные книги, содержащие правила и толкования законов, изданные известным Абуханифе, главным из четырех законодателей Омаровой секты, жившим в седьмом столетии, по нашему летоизчислению, в Багдате, во время Калифов; как то: Холасетул-Фетави, Муинул-Хукам, Бахру-Фитва и Ширатул-Ислам. Словесность: окроме вышеупомянутой Сибеве, Шарх-Джами (грамматическая правила) и Мутиевел (правила риторики по Арабски), Мажмаул-Азкар (собрание мыслей) и Арабские и Турецкие лексиконы, как то: Камус, Ахтери, Кебир и прочие. История: Тарих-Рашид, Сияри-Кебир (Предания главнейших событий Турецкой истории). Книга сия содержит происшествия последних времен,

წიგნთაგან ახალციხესა შინა არს პირველი ნაწილი კიტაბ სიბევე (საფუძველი არაბის ლექსთსხულებსა და რიტორიკისა). ძვირ ფასი ესე ჯელწერილი, ვითარცა იხილვების მას ზედა მყოფის წარწერილისაგან, გარდაწერილ არს ხუთას ორმოცდა შვიდს წელსა, სხვის დაწერილის მანუსკრიპიდგან სამას ოთხმოცდა ცხრა წელსა ელირის მოწმობისა გამო; ესე იგი მოპოებული კოპიო ახალციხესა შინა კიტაბ სიბევე დაწერილ არს აქიდგან ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტს წელსა.

გარდა მანუსკრიპტისა ამის, ჯელწერილნი და წიგნნი ახმედ მეჩითიდგან აღრჩეულნი არიან შემდგომნი: სამნი ჯელნაწერნი ალყორანნი, რომელთაგანცა ერთი შესანიშნულ არს საკუთრითა ჯელწერითთა განცხრომითა. ტეფსერ (ალყორანის განმარტებანი) უჩინებულესთა მთხველთა, ვითარნიცა არიან კაზი ბეიზავი, იმამ ფარხა რაზი, აბუსეიდი, დურული, მენსური და სხუანი[:] ღვთისმეტყველება შარხი იშარატისა, ხელლე მუშკულიატისა და შარხე აკაიდისა[:] თარგმანი ფსალმუნისა არაბულს ენაზედ; ფილოსოფიური თხზულებანი ტეხზიბისა, შარხი ხიალისა, კაზმირისა და სხვათა.

სხუა და სხუანი სჯულდებულებითნი და სასამართლო წარმოებითნი წიგნნი, რომელნიცა იყრობენ კანონთა და განმარტებათა სჯულთათა, გამოცემულთა ჩინებულის აბუხანიფისა მიერ, რომელიცა იყო უმთავრესი ოთხთა სჯულის გამოცემელთაგან ომაროვის სეკტისა და სცხოვრებდა მეშვდესა ას წელსა შინა ჩვენისა წელთ აღრიცხვისა მებრ ბაღდადსა შინა, დროსა კალიფთასა; რომელ არიან: ხოლასეტუ-ფეტოვი, მუინუ-ხუკამი, ბახრუ-ფიტვა და შარატულ-ისლამი. სიტყვიერება: გარდა ზემოხსენებულის სიბევეისა, შარხ-დჟამი (დრამატიკის კანონნი) და მუტაველი (კანონნი რიტორიკისანი არაბულად)[.] მაჟმაულ-აზკარა (შეკრება აზრთა) და არაბული და ოსმალური ლექსიკონი, ვითარნიცა არიან: კამუსი, ახტერი, კეპირი

она подарена Ахалцихской библиотеке Султаном Махмутом, Шамаилуннеби (описание качества Пророка), Шавамду-Нубуве (священная история Пророка, его наместников и дома его и) проч[ие.] Пoesия: Арабския сочинения Касиде-Бариде, Персидский Хафис, собрание стихов Арабского стихотворца Абитеба, Турецкие стихотворения Рагиба, Исабита и прочия.

В Ахмедиевой мечети найдены некоторые из тех книг, котория, пожеланию на них ученых любителей восточной литературы, согласно ВЫСОЧАЙШЕЙ воле, тщетно были отыскиваемы в Персий и в особенности в Ардебильской библиотеке, как то: 1-е Анвару Танзил, сочинение Казы Беизавы, 2-е Кетаф, 3-е Шаканкуннейман, 4-е Охтари Кабир, 5-е Хафис с объяснениями онаго, 6-е Гюластан, сочиненный Садием с объяснениями, 7-е Тарифат, сочинение Сеида Шарифа и 8-е Китаб Сиясе, сочинение Арестоталиса.

Приобретенная в Ахалцихе библиотека, хотя не может сравниться с Ардебильскою, рукописной роскошью, но в отношении к пользе заслуживает преимущество. Большая часть книг Ардебильской библиотеки писаны на одном только Фарсинском языке и содержать почти исключительно творения историков и поэтов, собранные в разное время без всякого систематического порядка; между тем как Ахалцихская библиотека представляет все материалы для учебного заведения, как то: грамматики, реторики, правила словесности, математику, астрономию, философию, богословию,

და სხუანი. ისტორია: ტარის-რაშიდი, სიარი-კებირი (გარდმოცემანი უმთავრესთა ღირს-შემთხვეულებათა ოსმალს ისტორიისათა)[.] წიგნი ესე იპყრობს წარმოებათა შემდგომთა დროთათა. იგი უძღვნა ახალციხის ბიბლიოტეკასა სულთან მახმუდმან; შამაილუნნები (აღწერა წინასწარმეტყველის თხუებათა), შავალიდუ-ნუბუვე (სამლო ისტორია წინასწარმეტყველისა, მოადგილეთა მისთა და სახლისა მისისა[]) და სხუათა; პოეზია: არაბულნი თხულებანი კასიდე ბარიდე. სპარსული ხაფის, შეკრება სტიხთა არაბეთის მესტიხისა აბიტებისა, ოსმალს სტიხთხულებანი რალივისა, ისაბიტისა და სხუათა.

ახმედის მეჩეთსა შინა პოვნილ არიან რომელნიმე მათ წიგნთაგანნი, რომელნიცა ამოდ პოვნილ იყვნენ სპარსეთსა შინა და საკუთრად არდებლის ბიბლიოტეკასა შინა სურვილისა მებრ ჩვენთა სწავლულთა მოყვარეთა აღმოსავლეთის ლიტერატურისათა თანაჴმად უმაღლესისა ნებისა, რომელნიცა არიან: ა) ანვარუ ტაზიდ თხულება კაზი ბეიზავი, ბ) შაკანკინნიმან, [გ]{კეტაბი}, დ) ოხტარი კაბირ, ე) ხაფის განმარტებითურთ მისით, ვ) ღოლისტინ შეთხშული სადიემისა განმარტებითურთ ზ) ტარიფატ თხულება სეიდა შარიფისა და ლ) კიბატ სიასე თხულება აბესტოტა ისასი.

მოპოვებულსა ბიბლიოტეკასა ახალციხესა შინა თუმცა არა ძალუძს შეთანასწორება არდებლისათანა ჴელწერილთა განცხრომითა, გარნა რაჴსა მიმართობასა შინა სარგებლობისასა მიემთხვევის ღირსებასა უპირატობისასა. უმეტესი ნაწილი წიგნთა არდებლის ბიბლიოტეკისათა დაწერილ არიან მხოლოდ ერთსა ფარსის ენასა ზედა და იპყრობს კნიდა გამოუხვევლად ქმნულებათა ისტორიკოს და პოეტთა, რომელნიცა შეკრებულ არიან სხუა და სხუასა დროსა შინა თვნიერ ყოვლისა სისტემატიკებრისა წესისა; ხოლო ახალციხის ბიბლიოტეკა წარმოადგენს ყო-

законодательство, судопроизводство и другие подобные учебные пособия. Все эти книги по большей части писаны на Арабском языке: что составляет также важное достоинство Ахалцихской библиотеки, ибо как известно Персияне, Турки и Татары заимствовали с Арабского диалекта, как с главного корня, все науки и правила языка. Таковая разница между этими двумя книгохранилищами произошла от самой цели, для которой они были основаны: Ардебильская библиотека заведена Персидскими Государями Софийской династии для обогащения Ардебильской мечети, где хранился прах их предков; Ахалцихская же библиотека основана в пользу учрежденного всем городе лицея.

Выходя из мечети, какое-то неизъяснимое чувство остановило меня подле ограды, в коей заключается могила Аджи Ахмеда; я долго с уважением смотрел на памятник, воздвигнутый над прахом сего почтенного мужа. Судьба доставила ему возможность быть полезным и он был полезен для общего блага: невежество казнило его смертью, но имя его с благоговением передается потомству. Лестная награда, но непостижимая для презренных самолюбцев, кои, поставленные случаем на подобную степень, имеют единственным помышлением собственное наслаждение, корысть и честолюбие.

ველთა ნივთიერებათა სწავლითის დაწესებისათვის, ესე იგი, დრამმატიკათა, რიტორიკათა, კანონთა სიტყვიერებისათა, მათემატიკასა, ასტრონომიასა, ფილოსოფიასა, ღვთისმეტყველებასა, სჯულ გამოცემულებასა, სასამართლო წარმოებასა და სხუათა მსგავსთა სწავლითა შემწობათა. ყოველნი ესე წიგნი უმეტეს მიწერილ არიან არაბულს ენაზედ, რომელიცა შეადრგენს ეგრეთვე ჩინებულსა ღირსებასა ახალციხის ბიბლიოტეკისასა, ვინაფთა ვითარცა იცნობების სპარსნი, ოსმალნი და თათარნი ივასხებდნენ არაბულის დიალექტიდგან, ვითარცა უმთავრესი ძირიდგან ყოველთა სწავლათა და კანონთა ენისათა. ესრეთი განსხვავება ორთა ამათ წიგნთ შესანახავთა ადგილთა შორის იწარმოვა თვთ საგნისაგან, რომლისათვისცა იგინი იყვნენ დაფუძნებულ: ადერბილის ბიბლიოტეკა დაწესებულ არს სპარსეთის ჯელმწიფეთა მიერ სოფიის დინასტიისათა არდებილის მეჩითის განმდირებისავს, სადაცა იმარხოდა გვამნი წინაპართა მათთან; ხოლო ახალციხის ბიბლიოტეკა დაფუძნებულ არს სარგებლად ქალაქსა ამას შინა დაწესებულისა ლიცეისა. ოდეს გამოველ მეჩითიდგან, დამაყენა მე ვითარმანმე უცნაურმან გრძობამან გარემო ზღუდისა, სადაცა შეიცვების საფლავი ადუი-ახმედისა; მე ვუყურე გრძლად პატივის ცემითა აღმართულსა სახსოვარსა პატივ ცემულისა ამის კაცისასა. ბედმან მისცა მას შეძლება, რათა ყოფილიყო სასარგებლო და იგი იყო სასარგებლო საზოგადოებასა კეთილისათვის: უმეცრებამან დასაჯა სიკვდილითა, გარნა სახელი მისი კეთილ მოწიწებით გარდაეცემის შთამობებასა. მცბიერსა ჯილდოსა, გარნა მიუწდომელთა იძულებულთა თავისა თვისისა მოყვარეთათვის, რომელნიცა შემთხვევითა ადგენილთა მსგავსსა ხარისხსა ზედა, აქვთ საკუთრითა განზრახვითა საკუთარი სიტკბობა, ბოროტება და პატიოსნების მოყვარება {პატივმოყვარება}.

ბიბლიოგრაფია

- აბრამიშვილი**, „*ფვილისის ვედომოსტები*“ = ა. აბრამიშვილი, „*ტფილისის ვედომოსტები*“ („*ტფილისის უწყებანი*“), *ბიბლიოგრაფიის მოამბე*, ტ. 4-5, წიგნის პალატა, თბილისი, 1948, გვ. 237-261.
- აბრამიშვილი**, *დიფერაფურული წერილები* = ა. აბრამიშვილი, *დიფერაფურული წერილები*, თბილისი, 1968.
- ბაქრაძე**, *ქართული პერიოდიკის* = გ. ი. ბაქრაძე, *ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819-1945)*, თბილისი, 1947.
- ბერძნიშვილი**, *მასალები* = მ. ბერძნიშვილი, *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II: მასალები ბიოგრაფიული დოკუმენტისათვის (ვ - ჯ)*, თბილისი, 1983.
- გამბა**, *მოგზაურობა I = ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, რედაქტორი პროფ. შ. ხანთაძემ, ტ. 1, თბილისი, 1987.
- გამბა**, *მოგზაურობა II = ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა კავკასიაში* (მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, კავკასიის ქედის გადაღმა, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შევალეე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში), ტ. 2, ფრანგულიდან თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 2021.
- გელაშვილი (გამოც.)**, *გიულდენშტედტის მოგზაურობა = გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. 1, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოცდა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962.
- გოცაძე**, *პირველი ქართული ჟურნალი* = მ. გოცაძე, „*პირველი ქართული ჟურნალი*“, *საისტორიო მოამბე*, ტ. 6, თბილისი, 1952.
- გუგუშვილი**, *ქართული ჟურნალისტიკა* = პ. გუგუშვილი, *ქართული ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის*, ტ. 1, თბილისი, 1941.
- დარჩიაშვილი**, *ახალციხე* = დავით დარჩიაშვილი, „*ახალციხე – ქართული „იერუსალიმი“*“, *ისტორიის რეკონსტრუქციები*, 2015, №1.
- დემურიშვილი**, *ისღამური ხუროთმოძღვრული* = ნ. დემურიშვილი, *ისღამური ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართველოში (მუსლიმური არქიტექტურის განვითარების ცენტრები საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე)*, თბილისი, 2010.
- იველაშვილი**, *რელიგიური უმცირესობანი* = თ. იველაშვილი, *რელიგიური უმცირესობანი სამცხე-ჯავახეთში*, თბილისი, 2019.
- კავკასიძე**, *თამარ მაჭავარიანი* = ა. კავკასიძე, *თამარ მაჭავარიანი*, თამარ მაჭავარიანი. ლიტერატურის საძიებელი (დაბადების 80 წლისთავი), თბილისი, 1975.
- კეკელიძე**, *ახალი ნარკვევი* = კ. კეკელიძე, *ახალი ნარკვევი ქართული სტამბის ისტორიიდან*, კ. კეკელიძე, *ივრუღები ძველი ქართული დიფერაფურის ისტორიიდან*, ტ. 8, თბილისი, 1962.
- კოჟორიძე**, *განახლებული მესხეთის* = დ. კოჟორიძე, *განახლებული მესხეთის ქადაგი (ახალციხის ისტორია)*, თბილისი 1969
- ლომსაძე**, *ახალციხის მხარის* = შ. ლომსაძე, *ახალციხის მხარის ისტორიიდან (XIX ს. პირველი მესამედი)*. ქალაქი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული განვითარების ისტორიიდან (XIX ს.), თბილისი, 1973.

- მაჭავარიანი**, *ახარციხის მიმდროეთეკის* = თ. მაჭავარიანი, *ახარციხის მიმდროეთეკის შესახებ*, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, ტ. 3, თბილისი, 1937.
- მეტრეველი** (გამოც.), *ციმლოთე გამაშვილი, მიმოსვლა* = *ციმლოთე გამაშვილი, მიმოსვლა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956.
- მეჩეთები** *სამცხე-ჯავახეთში* = საქართველოს ისტორიული კულტურული მემკვიდრეობა. *მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში*, თბილისი, 2022
- პაპუაშვილი**, *კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული* = ნ. პაპუაშვილი, *კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი* გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი), თბილისი, 2008.
- პაპუაშვილი**, *სოლომონ დოდაშვილი* = ნ. პაპუაშვილი, *სოლომონ დოდაშვილი – სანბიერი და მემკვიდრეობა*, თბილისი, 1923.
- ქუთათელაძე**, *მეჩეთები საქართველოში* = მ. ქუთათელაძე, *მეჩეთები საქართველოში (სამხრეთი საქართველო)*, თბილისი, 2021.
- ყრუაშვილი**, *ქართველთა შორის* = ნ. ყრუაშვილი, *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სამცხე-ჯავახეთში დაარსებული მიმდროეთეკები*, საქართველოს ბიბლიოთეკა, 2023, № 1.
- ხანთაძე**, *გამბას მისია* = შ. ხანთაძე, *გამბას მისია, უკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, რედაქტორი პროფ. შ. ხანთაძემ, ტ. 1, თბილისი, 1987
- ჯოლოგუა**, *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია* = თ. ჯოლოგუა, *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)*, თბილისი, 2013
- Васильева**, *Письменные памятники* = О. В. Васильева, *Письменные памятники Востока в Российской национальной библиотеке. История формирования фонда (1795-1750)*, Санкт-Петербург, 2020.
- Загурский**, *Поездка в Ахалцихский уезд* = “Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Л. Загурского, в: Из VIII кн. Записок Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества, Тифлис, 1873.
- Зерцалов**, *Библиография* = Г. В. Зерцалов, *Библиография русской периодики, вышедшие в Грузию с 1828 по 1920 г.*, ч. 1, Тбилиси, 1941.
- Константинов**, *Закавказский край* = О. Константинов, *Закавказский край, в: Кавказский Календарь на 1851 год, изданный от канцелярии наместника кавказского*, Тифлис, 1850.
- Потто**, *Кавказская война* = В. А. Потто, *Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях*, т. 4 (Турецкая война), Тифлис, 1887.
- Ушаков**, *История военных* = [Ушаков, Николай Иванович] *История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах*, ч. I, Варшава, 1848.

კორნელი კეკელიძის სახელობის
 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
 nugzarpa@yahoo.de

Nugzar Papuashvili

**AKHALTSIKHE MOSQUE AND ITS LIBRARY
FOLLOWING PAVEL SANKOVSKI'S ARTICLE**

SUMMARY

The Akhaltsikhe Main Mosque stands as the most prominent and impressive Islamic monument in Georgia. Erected by Haji Ahmed Pasha (d. 1758), a Muslim descendant of the Christian feudal lords (Atabags) of the southern Georgian principality of Samtskhe-Saatabago, surnamed Jakeli, it is accordingly known as the Ahmed Mosque. Uniquely among Georgian mosques, the Ahmed Mosque boasts a documented cultural, educational, and, in particular, library history.

Numerous written and oral accounts, memoirs, and studies pertain to the Ahmed Mosque, extensively explored by Shota Lomsadze (1925-2003) in his work on the fortunes of Samtskhe-Saatabago. This encompasses the mosque library's history, composition, and significance. Early references to the Ahmed Mosque are attributed to the German and French scholars Johan Anton Güldenstädt and Jean Francois Gamba. Lomsadze's research, drawing on an article from the first Georgian Russian newspaper, „Тифлисские Ведомости [Tiflisskie Vedomosti || Tbilisi News]” (1828-1833), provides an overview of the Mosque's library. Current study aims to expand upon Lomsadze's source base, incorporating new material, refining details, and resurrecting a hitherto overlooked document crucial to Georgian cultural and scientific history.

The principality of Akhaltsikhe fell under Turkish dominion in 1578, becoming the province of Childir Eyalet. On 15-16 August 1828, the Russian imperial army, supported by Georgian militia, recaptured Akhaltsikhe and much of the region, incorporating it into the Russian Empire. Amidst the fierce fighting, Field Marshal Ivan Paskevich learned of the unique manuscripts and printed books housed within the Ahmed Mosque's library and ordered its protection. The library survived, yielding a collection of 600 volumes. A specially appointed commission divided the collection, with Paskevich transferring a portion to Tbilisi en route to the Imperial Public Library in St Petersburg, while leaving the remainder in situ. This collection was augmented by manuscripts brought to Tbilisi by Alexander Griboedov from Ardebil, along with hundreds of books seized from the mosques of Bayazet and Erzurum, all destined for the same St Petersburg library. The highly

educated Pavel Sankovski, editor of the „Тифлисские Ведомости [Tiflisskie Vedomosti || Tbilisi News]”, described these collections in publications that this study introduces to scholarly discourse for the first time.

Pavel Sankovski devoted several articles to the Akhaltsikhe campaign, the Ahmed Mosque, and its library. The pseudonym “П. Сскаго [P.S.ski]” was later identified as Pavel Sankovski through research by Andro Abramishvili of the St Petersburg National Library, as detailed in the present study.

Sankovski’s article offers a notable early assessment of the Akhaltsikhe Main Mosque and its book collection. It includes a pioneering attempt at a scholarly evaluation of the collection, along with a preliminary bibliography of three hundred items selected for transfer to St Petersburg. This catalogue provides a comparative analysis with other Islamic texts acquired during the Russian military operations, including the manuscripts from Ardabil, Bayazet, and Erzurum.

The main goal of this study is to describe, analyze, and republish Sankovski’s article as well as its Georgian translation, completed by the renowned figure in Georgian culture, science, and politics, Solomon Dodashvili (1805-1836). In the present article the original and translated material are presented concurrently. The Russian original has been lightly revised in accordance with contemporary literary Russian orthography. Translation is presented in accordance with the principle of diplomatic edition.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
nugzarpa@yahoo.de

Nugzar Papuashvili